# ახალი მდებარეობა
# უცვლელი მიზნები




შემაჯამებელი ანგარიში 2016

წევრების გაერთიანებით,

ხელისუფლებასთან,
საერთაშორისო და
ადგილობრივ პარტნიორებთან
მჭიდრო თანამშრომლობით

**ვაუმჯობესებთ ბიზნესგარემოს**

04 მოგესალმებით
გიორგი ჭირაქაძე
სოსო ფხაკაძე
ლაშა პაპაშვილი

07 მოკლედ ჩვენზე:
სამეთვალყურეო საბჭო, სამეურვეო საბჭო,
კომიტეტები, აღმასრულებელი გუნდი,
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია წარმოდგენილია

09 საკომიტეტო მუშაობა

12 2016 წელი რამდენიმე გვერდზე
ირაკლი ასლანიშვილი

14 ორგანიზაციის განვითარება:
დიალოგი ეკონომიკურ და ბიზნესპოლიტიკაზე 2016
ადვოკატირება 2016
ახალი წევრები
ანალიტიკა 2016
პარტნიორობები 2016
სოციალური პასუხისმგებლობა 2016

30 ასოციაციის ახალი მდებარეობა, ახალი სერვისი წევრებისთვის

38 წევრი კომპანიები



**გიორგი ჭირაქაძე, პრეზიდენტი**
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

ძვირფასო ასოციაციის წევრებო, ხელისუფლების და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებო, 2016 წლის ბოლოს, ტრადიციულად, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ყოველწლიური ანგარიშის გვერდებიდან მოგესალმებით – მინდა, თქვენთან ერთად შევაჯამო განვლილი წელი, ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ გადადგმული ნაბიჯები და სამომავლო გამოწვევები.

მიხარია, რომ ასოციაცია 2016 წელსაც წარმატებით ასრულებს. ეს კი ჩვენი ორგანიზაციის თითოეული წევრის, მმართველობითი საბჭოების, კომიტეტებისა და აღმასრულებელი გუნდის დამსახურებაა, რისთვისაც გულითად მადლობას გიხდით თითოეულ თქვენთაგანს.

თითოეული ჩვენგანის ერთობლივად და დამოუკიდებლად მუშაობის შედეგად, საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ შეძლო კერძო სექტორისთვის აქტუალური საკითხების წინ წამოწევა, მათი ხელისუფლებამდე და ეკონომიკური პოლიტიკის აქტორებამდე მიტანა, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება.

ამ ერთობლივი ძალისხმევის თვალსაჩინო შედეგია 2016 წელს მიღებული მოგების გადასახადის რეფორმა, რომელიც საქართველოში განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი რეფორმაა და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, სათავეს საქართველოს ბიზნეს ასოციაციიდან იღებს. ჩვენ დღესაც ვაგრძელებთ ამ რეფორმის დახვეწაზე მუშაობას.

ჩვენს მიერ მიღწეული შედეგები ხელისუფლების ეკონომიკურ გუნდთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია, ასოციაცია 2017 წელსაც გააგრძელებს ერთგვარი ხიდის ფუნქციის შესრულებას, რაც არამხოლოდ კერძო სექტორისთვისაა მნიშვნელოვანი.

მომავალ 2017 წელს ქვეყნას მრავალი გამოწვევა აქვს, ეკონომიკური ზრდა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ფისკალური სიჯანსაღე და გონივრული სამართლებრივ-მარეგულირებელი ჩარჩო. ამ სურათში კი იზრდება ბიზნესგაერთიანებების როლი, რადგან ჩვენ ზუსტად, პრაქტიკიდან გამომდინარე, ვიცით, რა დაბრკოლებები ექმნება კერძო სექტორს და რა ნაბიჯების გადადგმაა საჭირო ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად. ერთად, მოსაზრებების, ცოდნის და გამოცდილების გაზიარებით კი შევძლებთ ამ გამოწვევებთან გამკლავებას.

მინდა, თითოეულ თქვენგანს მოგილოცოთ კარზე მომდგარი ახალი 2017 წელს. ჩვენს ქვეყანას გააჩნია წინსვლის პოტენციალი და ყველა ჩვენგანს ვუსურვებ, 2017 წელს ამ პოტენციალის გამოყენებაზე მაქსიმალურად ვიზრუნოთ.

ბედნიერ ახალ წელს და დიდ წარმატებას გისურვებთ,

პატივისცემით,





**სოსო ფხაკაძე, პირველი ვიცე-პრეზიდენტი**
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

მოგესალმებით ძვირფასო მკითხველებო, კიდევ ერთი წელიწადი გავიდა. სასიამოვნოა შეგრძნება იმისა, რომ ამ განვლილ პერიოდშიც ორგანიზაციამ ბევრი ახალი, სასიკეთო საქმე გააკეთა. ამ ერთ წელიწადში საქართველოს ბიზნეს ასოციაცია კიდევ უფრო გაიზარდა და გაძლიერდა. ფაქტია, რომ ოდესღაც დიდი ენთუზიაზმით და იმედით წამოწყებული საქმე უკვე ინსტიტუციურ სახეს იღებს.

საქართველოს ბიზნეს ასოციაციას ყოველწლიურად ემატებიან ახალი წევრები, კომპანიები, რომლებიც საქართველოში საუკეთესო პრაქტიკას ნერგავენ და სხვადასხვა მიმართულებით ბიზნესის განვითარებას უწყობენ ხელს. ჩვენ, საერთო ჯამში, 200-მდე კომპანიას მოვიცავთ. ამ ორგანიზაციების მიერ შექმნილი წლიური დოვლათი 7 მილიარდ ლარს აჭარბებს. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოს ბიზნეს ასოციაცია ქვეყნის ეკონომიკის უმსხვილეს ნაწილს წარმოადგენს.

გასახარია, რომ კერძო სექტორი უფრო და უფრო აცნობიერებს ბიზნესგაერთიანებების მნიშვნელობას და ადვოკატირების აუცილებლობას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატირების პროცესის უმნიშვნელოვანესი პარტნიორი, ხელისუფლება, ყოველწლიურად უფრო მეტ მზაობას იჩენს თანამშრომლობისა და დისკუსიისთვის. მჯერა, რომ სწორი და ეფექტური კომუნიკაცია ჩვენი ქვეყნისთვის ბევრ სარგებელს და სიკეთეს მოიტანს.

საქართველო ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევის წინაშე დგას, გარემო საკმაოდ მყიფეა და მიუხედავად საქართველოს წარმატებისა ამა თუ იმ მიმართულებით, ჯერ შორსაა ის წერტილი, რომელზეც შედარებით მყარად ვიდგებით და საიდანაც უკუპროცესის დაწყება უკიდურესად რთული იქნება.

სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენთაგანის მონაწილეობა ეკონომიკურ პროცესებში, ეკონომიკური პოლიტიკის, საკანონმდებლო-სარეგულაციო აქტების განხილვაში. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია ზუსტად ამ მიზანს ემსახურება და დღეს ერთ-ერთი საუკეთესო და ყველაზე ძლიერი პლატფორმაა კერძო სექტორის განვითარების მხარდასაჭერად.

ვისურვებ, მომდევნო წელსაც იმავე ენერგიით ვიმუშავოთ ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაზე და კერძო სექტორი კიდევ უფრო მეტად ჩაერთოს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა-ინიცირებაში.

პატივისცემით,





**ლაშა პაპაშვილი, ვიცე პრეზიდენტი**
საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

მოგესალმებით, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის 2016 წლის წლიური ანგარიში ნათელ წარმოდგენას შეგიქმნით, თუ რა მიმართულების და მასშტაბის სამუშაოები გავწიეთ განვლილ წელს. გაეცნობით სიახლეებს და ახალ სერვისებს, რომლებსაც ჩვენი წევრები მიიღებენ ასოციაციისგან.

დღეს საქართველო კომპლექსური გამოწვევების წინაშე დგას; უმთავრეს გამოწვევებს შორის აღსანიშნავია მთლიანი შიდა პროდუქტის და ექსპორტის ზრდა და მისი დივერსიფიკაცია. ეს ამოცანები და მათ შედეგად მიღებული ეკონომიკური აღმავლობა მიუღწეველ მიზნებად დარჩება, თუ არ აღმოვფხვრით ინტელექტუალური რესურსის დეფიციტს.

კერძო სექტორი დიდ სირთულეებს აწყდება კვალიფიციური, სათანადო უნარ-ჩვევების, თანამედროვე ცოდნის მქონე კადრების მოძიებისას. ზოგიერთ დარგში, მაგალითად, სამოქალაქო ინჟინერიაში, სოფლის მეურნეობასა და კვების ტექნოლოგიაში შეუძლებელია ადგილობრივი კვალიფიციური სპეციალისტების მოძიება და დასაქმება. არსებული განათლების სისტემა ვერ ზრდის თანამედროვე, მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებს, რის გამოც კერძო სექტორის რესურსი ხმარდება ძვირადღირებულ უცხოელ კონსულტანტებს.

ვიმედოვნებ, რომ ხელისუფლებისთვის, ისევე, როგორც დონორი ორგანიზაციებისთვის 2017 წლის ერთ-ერთი პრიორიტეტი პროფესიული განათლების განვითარება და მისი ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა იქნება. სწორედ ეს არის ის სტრუქტურული რეფორმა, რომელიც საქართველოს, ჩვენს საზოგადოებას და ეკონომიკას განვითარებულ ქვეყნებთან მიმართებაში შეუქმნის კონკურენტუნარიანობის მდგრად საფუძველს.

წარმატებულ 2017 წელს გისურვებთ,

პატივისცემით,



## სამეთვალყურეო საბჭო:

**ჭირაქაძე გიორგი**
საქართველოს ბიზნეს ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე,
„იუ ჯი თი“

**ფხაკაძე სოსო**
საქართველოს ბიზნეს ასოციაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი
„ვისოლი“

**პაპაშვილი ლაშა**
საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი
„რედიქსი“

**ბახტაძე მამუკა**
„საქართველოს რკინიგზა“

**გეგენავა არჩილ**
„ფუდმარტი“

**გეგეჭკორი გიორგი**
„რაკია“

**დევაძე გიორგი**
„სან პეტროლიუმ ჯორჯია“

**კვარაცხელია გიორგი**
„ლილო მოლი“

**კიკვაძე ზაზა**
„IDS ბორჯომი საქართველო“

**კილაძე დავით**
„ჯიპისი“

**კონცელიძე არჩილ**
„ვი-თი-ბი ბანკი“

**კურცხალია გიორგი**
„მაგისტილი“

**ტყეშელაშვილი გიორგი**
„მობიტელი“

## კომიტეტები:

საგადასახადო-საბაჟო კომიტეტი
თავმჯდომარე: **ზურაბ ლალაზაშვილი**
საერთაშორისო აუდიტორული კომპანია BDO-ს
მმართველი პარტნიორი საქართველოში

საფინანსო კომიტეტი
თავმჯდომარე: **ვახტანგ ბუცხრიკიძე**
„თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორი
თავმჯდომარის მოადგილე: ლაშა ბზარაშვილი
„4 ფინანსის“ დირექტორი

საკანონმდებლო ბაზის განვითარების კომიტეტი
თავმჯდომარე: **ლაშა ნოდია**
„ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების“
დამფუძნებელი პარტნიორი

სოფლის მეურნეობის განვითარების კომიტეტი
თავმჯდომარე: **გიორგი მარგველაშვილი**
„თბილღვინოს“ პრეზიდენტი

ენერგეტიკის კომიტეტი
თავმჯდომარე: **ზურაბ გელენიძე**
„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“
ფინანსური დირექტორი

ტურიზმის განვითარების კომიტეტი
თავმჯდომარე: **გიორგი მარრი**
„სილქ როუდ ჯგუფი-უძრავი ქონების“
გენერალური დირექტორი

გარემოს დაცვის კომიტეტი
თავმჯდომარე: **ირაკლი ნოზაძე**
„ჯორჯიან ემერიქან ელოიზის“ გარემოს დაცვის დირექტორი

## სამეურვეო საბჭო:

**ბეჟუაშვილი დავითი**
„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“

**გილაური ირაკლი**
„საქართველოს ბანკი“

**გურგენიძე ვლადიმერ**
„ლიბერთი ბანკი“

**დარჩიაშვილი გოჩა**
„ჯიდი ჯგუფი“

**თავაძე გიორგი**
„სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“

**იაკობაშვილი დავით**
„პეტროკას ენერჯი გრუპი“

**კოხოძე თემურ**
„თეგეტა მოტორსი“

**კურტანიძე პაატა**
„ავერსი“

**მაქაცარია ხვიჩა**
„კავკასუს ონლაინი“

**ნიშნიანიძე ზაზა**
„შარმტრეიდინგი“

**ოქრიაშვილი კახაბერ**
„პე ეს პე“

**პაპაშვილი ლაშა**
„რედიქსი“

**რამიშვილი გიორგი**
„სილქ როუდ ჯგუფი“

**სომხიშვილი თამაზ**
„აიდეკო“

**ფიფია რომან**
„აზოტი“

**ფხაკაძე სოსო**
„ვისოლი“

**ღამბაშიძე გიორგი**
„ჯეოსპირტპრომი“

**ჭირაქაძე გიორგი**
„იუ ჯი თი“

**ხაზარაძე მამუკა**
„თიბისი ბანკი“

## აღმასრულებელი გუნდი:

**ირაკლი ასლანიშვილი**
აღმასრულებელი დირექტორი

**ირინა კვახაძე**
აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

**ნიკა ნანუაშვილი**
იურიდიული ანალიტიკოსი

**შოთა კომლაძე**
საგადასახადო-საბაჟო მიმართულების მენეჯერი

**ნანა ცერცვაძე**
სექტორული განვითარების მენეჯერი

**მარიამ სპარსიაშვილი**
აღმასრულებელი დირექტორის მრჩეველი პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობაში

**იზა ლომიძე**
ბუღალტერი

**ნათია ბანცური**
ეკონომისტი

**თეონა ზაქრაძე**
აღმასრულებელი ასისტენტი

**კახა ქებაძე**
ლოჯისტიკის მენეჯერი

**უჩა ჩახვაძე**
სტაჟიორი იურისტი

## საქართველოს ბიზნეს ასოციაცია წარმოდგენილია

- ინვესტორთა საბჭო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო;
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საგრანტო კომიტეტი;
- საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული სოციალური დიალოგის სამმხრივი კომისია
- სოლიდარობის ფონდი, სამეთვალყურეო საბჭო და მუდმივმოქმედი კომისია;
- საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო პალატა, სამეთვალყურეო საბჭო;
- მსოფლიო ბანკის კერძო სექტორთან ურთიერთობის ოფიცერთა გლობალური ქსელი;
- ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველო, მრჩეველთა საბჭო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ანტიკორუფციული საბჭო;
- იუსტიციის სამინისტროსთან არსებული ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განახლებასა და 2014-2016 წლების ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფი;
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელი, მრჩეველთა საბჭო ბიზნესის ერთიანობის საკითხებში;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დასაქმებისა და პროფესიული განათლებისა და გადამზადების საკოორდინაციო საბჭო;
- საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, მრჩეველთა საბჭო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საკონსულტაციო საბჭო;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საკონსულტაციო ჯგუფი ვაჭრობის საკითხებზე;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, კერძო სექტორის ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭო;
- საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ქვეთავის, მდგრადი განვითარებისა და ვაჭრობის ფარგლებში შექმნილი ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფი;
- საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო, „ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურებების“ კომიტეტი;
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, სამეთვალყურეო საბჭო;
- კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის სათათბირო ორგანო – კონკურენციის საბჭო.

# საკომიტეტო მუშაობა

საქართველოს
ბიზნეს ასოციაციაში
შვიდი კომიტეტი მოქმედებს:
საგადასახადო-საბაჟო, საფინანსო,
საკანონმდებლო ბაზის განვითარების,
სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, ტურიზმის
და გარემოს დაცვის.  კომიტეტები ასოციაციაში
იქმნება წევრთა საჭიროების მიხედვით.
კომიტეტები არის პლატფორმა, რომელიც
წევრებს საშუალებას აძლევს, წამოჭრან მათთვის
აქტუალური საკითხები და კოლეგებთან
ერთად იმსჯელონ მათი გადაჭრის
გზებზე, წარადგინონ საკითხები და
რეკომენდაციები ხელისუფლებათან
და გაწიონ საკითხების
ადვოკატირება.



## საგადასახადო-საბაჟო კომიტეტი

**თავმჯდომარე: ზურაბ ლალაზაშვილი**

*საერთაშორისო აუდიტორული კომპანია BDO-ს მმართველი პარტნიორი საქართველოში*

კომიტეტი შეიქმნა 2009 წელს და მას მერე იცავს ასოციაციის წევრების ინტერესებს საგადასახადო-საბაჟო მიმართულებით. კომიტეტი თანამშრომლობს ფინანსთა სამინისტროსთან, შემოსავლების სამსახურთან და სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან. კომიტეტის სხდომა იმართება ყოველკვარტალურად და საჭიროებისამებრ, რიგგარეშე. საგადასახადო-საბაჟო კომიტეტი აქტიურად არის ჩართული მოგების გადასახადის რეფორმაზე კომენტარების და რეკომენდაციების მომზადებაში.



## საფინანსო კომიტეტი

**თავმჯდომარე: ვახტანგ ბუცხრიკიძე**, *„თიბისი ბანკის" გენერალური დირექტორი*

**თავმჯდომარის მოადგილე: ლაშა ბზარაშვილი,** *„4 ფინანსის" დირექტორი*

საფინანსო კომიტეტი 2010 წელს შეიქმნა. ბოლო სამი წელი კი კომიტეტის მთავარი სამუშაო მიმართულებებია საპენსიო რეფორმა და კაპიტალის ბაზრების განვითარება. ამ მიზნით კომიტეტმა არაერთი სხდომა მოაწყო 2016 წელს, ასევე, მოიწვია საპენსიო რეფორმის ხელმძღვანელები ხელისუფლებიდან და გამართა განხილვები შემოთავაზებულ კონცეფციაზე. ამ თემებზე მუშაობას საფინანსო კომიტეტი 2017 წელსაც განაგძობს და წევრებს შესთავაზებს რეფორმების განხილვას ხელისუფლებასთან.



## საკანონმდებლო ბაზის განვითარების კომიტეტი

**თავმჯდომარე: ლაშა ნოდია**

*„ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების" დამფუძნებელი პარტნიორი*

კომიტეტი შეიქმნა 2011 წელს და მისი დანიშნულებაა ბიზნესგარემოსთან დაკავშირებული კანონმდებლობის ანალიზი, ხარვეზების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება. 2016 წელს კომიტეტმა შენიშვნები მოამზადა ისეთ მნიშვნელოვან თემებზე როგორებიცაა, შრომის კოდექსი, მომხმარებელთა უფლებები, მეწარმეთა შესახებ კანონში ცვლილებები. უფრო დეტალურად ამ საკითხებზე ჩატარებული ადვოკატირების კამპანიების შესახებ იხილეთ რუბრიკაში „ადვოკატირება 2016".



## სოფლის მეურნეობის განვითარების კომიტეტი

**თავმჯდომარე: გიორგი მარგველაშვილი**

*„თბილღვინოს" პრეზიდენტი*

სოფლის მეურნეობის განვითარების კომიტეტი 2011 წელს შეიქმნა დარგის მხარდასაჭერად, რეფორმების ხელშესაწყობად და სოფლის მეურნეობის საკანონმდებლო ბაზის გასაუმჯობესებლად. კომიტეტი იკვლევს დარგის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებს და შემდეგ დარგის მონაწილეებს, გადაწყვეტილების მიმღებებს იწვევს მათზე სამსჯელოდ, რეკომენდაციების შესამუშავებლად.



# ენერგეტიკის კომიტეტი

**თავმჯდომარე: ზურაბ გელენიძე**

*„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის" ფინანსური დირექტორი*

ენერგეტიკა საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტული მიმართულებაა, მასზე ქვეყნის ერთობლივი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის და ამავდროულად თავად უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მყარი ბაზისის შექმნას და განვითარების არჩეული კურსის შეუქცევადობას. ენერგეტიკა კვლავაც ინარჩუნებს საინვესტიციოდ ყველაზე მიმზიდველი მიმართულების სტატუსს და ბიზნესაქტივობის განმსაზღვრელ უმთავრეს ინდიკატორად რჩება. სწორედ ამ მნიშვნელობის გამო შეიქმნა ენერგეტიკის კომიტეტი ასოციაციაში 2015 წელს.



# ტურიზმის განვითარების კომიტეტი

**თავმჯდომარე: გიორგი მარრი**

*„სილქ როუდ ჯგუფი-უძრავი ქონების" გენერალური დირექტორი*

საქართველოს ბიზნეს ასოციაციაში ტურიზმის დარგის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა. ამასთან, ასოციაციის ბევრი წევრისათვის, ტურიზმი პირდაპირ და არაპირდაპირი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. ამ ინტერესის გათვალისწინებით 2015 წელს ასოციაციაში შეიქმნა ტურიზმის განვითარების კომიტეტი. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია ტურიზმის დარგში საინვესტიციო კლიმატის, საკანონმდებლო და მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ხელშემშლელი ფაქტორების და დარგში არსებული სხვა პრობლემური საკითხების გამოვლენა მათი გადაჭრის გზების დამუშავების მიზნით.



# გარემოს დაცვის კომიტეტი

**თავმჯდომარე: ირაკლი ნოზაძე**

*„ჯორჯიან ემერიქან ელოიზის" გარემოს დაცვის დირექტორი*

საქართველოს ბიზნეს ასოციაციაში გარემოს დაცვის კომიტეტი 2016 წელს შეიქმნა. მისი მიზანი გარემოსდაცვით სფეროში არსებული პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება, ანალიზი, გადაჭრის გზების დასახვა და საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებაა. კომიტეტის საქმიანობა ასევე მოიცავს არსებული და დაგეგმილი საკანონმდებლო რეგულაციების თაობაზე ასოციაციის წევრი კომპანიების დეტალურ ინფორმირებას. ეფექტიანი და მოქნილი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაქმნელად აუცილებელია ბიზნესსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის თანამშრომლობა, რისი უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფორმა სწორედ აქტიური საკომიტეტო მუშაობაა, სადაც ჩართულნი არიან/იქნებიან როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ექსპერტები.

# 2016 წელი რამდენიმე გვერდზე



**ირაკლი ასლანიშვილი,**
**აღმასრულებელი დირექტორი**

ამ წლის ბოლოს უკვე საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ახალი ოფისიდან მოგესალმებით. ახალმა ოფისმა ახალი შესაძლებლობები გაგვიჩინა: დღეიდან შეგვიძლია, წევრ კომპანიებს დამატებითი სერვისები შევთავაზოთ: ჩვენთან სრულად მოწყობილი წევრის ოთახი, საკონფერენციო დარბაზი, შეხვედრების ორი ოთახია. 2017 წლიდან ეს სივრცეები ჩვენი წევრებისთვის სრულად ხელმისაწვდომი იქნება. ასე რომ, ძვირფასო წევრებო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ჩვენ სიამოვნებით ვუმასპინძლებთ თქვენს ღონისძიებებსა და შეხვედრებს.

რაც შეეხება 2016 წლის სხვა სიახლეებსა და პროექტებს, მათ დაწვრილებით გაგაცნობთ მომდევნო გვერდებზე.  ეს წელიც, ტრადიციულად, დატვირთული იყო: საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ არაერთი შეხვედრა გამართა ხელისუფლებასთან, ვიმუშავეთ საგადასახადო თუ სხვა თემატიკის კანონპროექტებზე. კერძო სექტორის ინტერესების დასაცავად საქართველოს ბიზნეს ასოციაციაში ვიყენებთ ყველა ხელმისაწვდომ პლატფორმას, მათ შორის, სატელევიზიო, ინტერნეტ თუ ბეჭდურ მედიას. ბიზნესისთვის საჭირბოროტო თემებზე ვისაუბრეთ ყველა წამყვან მედიასაშუალებაში, რომ საზოგადოებისთვის მიგვეწოდებინა ამომწურავი არგუმენტები ამა თუ იმ საკითხის გარშემო.

ადვოკატირების პარალელურად, 2016 წელს არაერთი ანალიტიკური ანგარიში მოვამზადეთ სხვადასხვა თემაზე. ჩვენი ანალიტიკური მიმართულების მიზანია, შექმნას ეკონომიკურ და ბიზნესთემებზე რაციონალური, ინფორმირებული დისკუსიის საფუძველი. ანალიტიკურ ანგარიშებს ამდიდრებს საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ბლოგზე გამოქვეყნებული სტატიებიც, რომლებიც ეხმაურება ქვეყნისთვის აქტუალურ ეკონომიკურ თემებს: მომხმარებელთა უფლებებზე კანონპროექტს, ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურას, ლარის კურსის მკვეთრ გაუფასურებას წლის ბოლოს.

ვფიქრობ, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ნაყოფიერებას სწორედ ასეთი კომპლექსური მუშაობა განაპირობებს. წლევანდელი წელი სოციალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისითაც საინტერესო იყო. საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ დააფინანსა მწერალთა სახლის დარბაზების რესტავრაცია.

2017 წლის გეგმებიც არანაკლებ საინტერესოა. კერძო სექტორის საჭიროებების კვლევა, ადვოკატირების კამპანიები,  სოციალური პასუხისმგებლობის პროექტები  იქ, სადაც ყველაზე გამართლებულია ძალისხმევის დახარჯვა – განათლებაში. როგორც ხედავთ, 2016 წლის შეჯამებასთან ერთად, 2017 წლის მოახლოებასაც აღვნიშნავთ.

გილოცავთ მოახლოებულ დღესასწაულებს!
წარმატებას გისურვებთ,
პატივისცემით,
ირაკლი ასლანიშვილი

**7 000 000 000** ლარს

აჭარბებს ასოციაციის წევრი კომპანიების ჯამური წლიური ბრუნვა

**1 000 000 000** ლარს

აჭარბებს ბიუჯეტში ჯამურად შეტანილი გადასახადები

**200**-მდე კომპანია

გაწევრიანებულია ჯამში ასოციაციაში, პირდაპირ და ჯგუფების სახით

**100 000**-ზე მეტი

დასაქმებული წევრ კომპანიებში

# დიალოგი ეკონომიკურ და ბიზნესპოლიტიკაზე 2016











**ხელისუფლებასთან თანამშრომლობა**

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია არის პლატფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს წევრ კომპანიებს, შეხვდნენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს და მათთვის აქტუალურ, საჭირბოროტო საკითხებზე ისაუბრონ ღიად. იმსჯელონ არსებულ ბიზნესპოლიტიკაზე და ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. 2016 წელს ჩატარდა შეხვედრა:

- პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან
- პირველ ვიცე-პრემიერ და ამჟამინდელ ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილთან
- ბიზნესომბუდსმენ და ამჟამინდელ ეკონომიკის მინისტრ გიორგი გახარიასთან
- ფინანსთა სამინისტროსთან
- შემოსავლების სამსახურთან
- თბილისის მერთან და მერიის სხვა წარმომადგენლებთან
- ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან და სხვა.

**ინვესტორთა საბჭო**

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია კერძო სექტორისთვის აქტუალურ თემებზე ხელისუფლებასთან სასაუბროდ იყენებს ყველა შესაძლო არხს. სწორედ ამიტომ, 2015 წლიდან საქართველოს ბიზნეს ასოციაცია ინვესტორთა საბჭოს მუდმივი წევრია. ინვესტორთა საბჭო ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ხელშეწყობით შეიქმნა. მისი წევრები არიან საქართველოში მოქმედი მსხვილი ბიზნესგაერთიანებები. საბჭო ყოველკვარტალურად ხვდება პრემიერ-მინისტრს და მთავრობის ეკონომიკურ გუნდს. პრემიერ მინისტრის წინაშე სვამს კერძო სექტორისთვის პრობლემურ საკითხებს და ხელისუფლებას მათ გადაჭრაზე რეკომენდაციებსაც სთავაზობს. 2016 წელს გაიმართა ინვესტორთა საბჭოს 4 სხდომა, სადაც საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ დააყენა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა მოგების გადასახადის რეფორმა, სასამართლოს რეფორმა, საგადასახადო დანაშაულთა გამიჯვნა და ნაწილობრივი დეკრიმინალიზაცია, რეგულაციების ბიზნესგარემოზე გავლენის ანალიზის შემოღება, საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება და სხვა.














## განხილვები საერთაშორისო პარტნიორებთან

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები. სწორედ ამიტომ, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია პერიოდულად იწვევს მათ წევრ კომპანიებთან შესახვედრად. ჩვენ წევრებს საშუალება აქვთ, შეხვდნენ ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის და სხვა მსხვილი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, მათგან მოისმინონ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება, გაიგონ, რა პროექტების განხორციელებას გეგმავენ ისინი საქართველოში, როგორ იმოქმედებს ეს პროექტები კერძო სექტორზე.



## კონფერენციები ადვოკატირებისთვის

კიდევ ერთი არხი, რომელსაც ასოციაცია იყენებს ადვოკატირების თემების განსახილველად და დაინტერესებული ჯგუფების პოზიციების შესაჯერებლად, კონფერენციებია.






### „საქართველოს ეკონომიკა და ბიზნესგარემო – მიღწევები და გამოწვევები"

2016 წელს საქართველოს ბიზნეს ასოციაციისა და პარტნიორი ორგანიზაციების ორგანიზებით, კონფერენცია – „საქართველოს ეკონომიკა და ბიზნესგარემო – მიღწევები და გამოწვევები" გაიმართა. კონფერენციაში მონაწილეობა საქართველოს ყოფილმა პრემიერმა, ბიძინა ივანიშვილმა მიიღო. ღონისძიებას ბიზნესმენებთან და ექსპერტებთან ერთად, მინისტრთა კაბინეტის წევრებიც დაესწრნენ, მათ შორის, პირველი ვიცე პრემიერი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, და სოფლის მეურნეობის მინისტრი. კონფერენციაზე ბიზნესს საშუალება ჰქონდა მთავრობის ეკონომიკური გუნდისაგან მიეღო დეტალური ინფორმაცია ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ და შეეფასებინა ისინი; ასევე, წამოეჭრა და ემსჯელა პრობლემურ საკითხებზე – ე.წ. საპოლიციო გამოსახლების წესის გაუქმება, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" კანონის პროექტი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან დაკავშირებული რეგულაციები, სასამართლო სისტემაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზები და სხვა.

# ადვოკატირება 2016



## მოგების გადასახადის რეფორმა

2016 წელი ადვოკატირების თვალსაზრისით გამორჩეულია საქართველოს ბიზნეს ასოციაციისთვის. ამ წელს წარმატებით დასრულდა ორი წლით ადრე დაწყებული პროცესი – მოგების გადასახადის რეფორმირების ადვოკატირება. 2017 წლიდან საქართველოში გაუნაწილებელი მოგება განთავისუფლებული იქნება მოგების გადასახადისგან.

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია ამ რეფორმის ინიციატორი და დიდი მხარდამჭერი იყო. რეფორმის ადვოკატირების პროცესში შედგა ათეულობით საკონსულტაციო შეხვედრა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მივიღეთ მონაწილეობა რეფორმისთვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების მზადებაში.

რეფორმაზე მსჯელობას დაეთმო ასოციაციის საგადასახადო-საბაჟო კომიტეტის ორი გაფართოებული სხდომა, სადაც ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებიც იყვნენ მოწვეულნი.

რეფორმაზე სამსჯელოდ ასოციაციამ გამოიყენა მედია საშუალებებიც და მონაწილეობა მიიღო ყველა სატელევიზიო თუ რადიო ეთერში, რომელიც ამ თემას დაეთმო. ასევე, ასოციაციამ გამოაქვეყნა სტატიები ბეჭდურ თუ ინტერნეტ მედიაში, ისეთ წამყვან გამოცემებში, როგორიცაა ქართული ფორბსი.

### კანონპროექტი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ

2013 წელს საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით მომზადდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონპროექტი. 2016 წელს კანონპროექტზე მუშაობა ბოლო ფაზაში შევიდა და ასოციაციამაც კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობა ამ მიმართულებით. კერძოდ,

მომზადდა დეტალური სამართლებრივი შედარებითი ანალიზი ადგილობრივ და საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზასთან; მომზადებული დოკუმენტის საფუძველზე გაიმართა მრავალი საკონსულტაციო შეხვედრა კანონპროექტის ავტორებთან, საპარლამენტო კომიტეტებთან და დაინტერესებულ ორგანიზაციებთან; შედგა პირდაპირი კომუნიკაცია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებთან, მთავრობის მეთაურთან;

საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ ამ თემას დაუთმო ათეულობით სატელევიზიო და რადიო ეთერი, პუბლიკაციები ქართულენოვან ფორბსსა და ბეჭდურ თუ ინტერნეტმედიაში;

შედეგად ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით გადაწყდა, რომ კანონპროექტთან დაკავშირებით ჩატარდება რეგულაციის გავლენის ანალიზი და მხოლოდ მიღებული შედეგების შემდეგ გადაიდგმება მომდევნო ნაბიჯები.

### ე.წ. საპოლიციო გამოსახლების ინსტიტუტის გაუქმება

აღნიშნული ინსტიტუტის გაუქმება კერძო სექტორისთვის უარყოფითი მოვლენა იყო და ცხადია, ბიზნეს ასოციაციამ ყველა მის ხელთ არსებული რესურსი გამოიყენა მასთან გასამკლავებლად.

მომზადდა დეტალური სამართლებრივი ანალიზი და მიეწოდა ყველა დაინტერესებულ მხარეს. ჩატარდა კონსულტაციების სერია ხელისუფლებასთან, მათ შორის, კანონპროექტის ავტორებთან, მონაწილეობა მივიღეთ საკომიტეტო მოსმენებში; ამ საკითხზე პირდაპირი კომუნიკაცია გვქონდა აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებთან და მთავრობის მეთაურთან ღია და დახურულ ფორმატებში. გამოვიყენეთ სატელევიზიო და რადიო ეთერები თემაზე სამსჯელოდ.

ჩვენი ძალისხმევის შედეგად კანონპროექტის მიმართ მკვეთრად ნეგატიური პოზიცია ჩამოყალიბდა აღმასრულებელი ხელისუფლებაში, არასამთავრობო სექტორში და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებში; საკანონმდებლო ცვლილება გასაჩივრდა საკონსტიტუციო სასამართლოში ჩვენს მიერ; და ბოლოს, ხელისუფლების ეკონომიკურ პროგრამაში აისახა დაპირება საპოლიციო გამოსახლების ინსტიტუტის აღდგენის შესახებ.










**საგადასახადო შემოწმებები**

ინვესტორთა საბჭოს მეშვეობით საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ იმუშავა საგადასახადო შემოწმების მექანიზმის დახვეწაზე. გავანაალიზეთ შემოსავლების სამსახურიდან მოწოდებული, საგადასახადო შემოწმებებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ეს ინფორმაცია ეხებოდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული საგადასახადო (გასვლითი და კამერალური) შემოწმებების რაოდენობას, გამოვლენილ დარღვევებს, დარიცხული თანხების მოცულობას და შემოწმების ხანგრძლივობას, ასევე, საგადასახადო დავის მიმდინარეობისას საბანკო ანგარიშზე დადებულ ყადაღას.

ამ საკითხზე ჩატარდა არაერთი შეხვედრა შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან, ასევე – ასოციაციის საგადასახადო-საბაჟო კომიტეტის სხდომა.

შედეგად შემოსავლების სამსახურმა დაამტკიცებს „აუდიტის პროცესის რეგლამენტი“, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი შემოწმების პროცესის ეტაპები და ვადები, რაც უფრო ღიას და მოქნილს გახდის შემოწმების პროცესს, ასევე აუდიტორსა და კომპანიის წარმომადგენელს შორის ურთიერთობას.

ასევე, ასოციაციის ძალისხმევით და უშუალო მხარდაჭერით, 2016 წლის მაისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების თანახმად, საგადასახადო დავის მიმდინარეობისას, კომპანიის/გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ე.წ. „დავის ყადაღის“) დადება აიკრძალა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი თემებისა, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია 2016 წელს მუშაობდა შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე: შრომის კოდექსი და შრომის ინსპექცია; კანონპროექტი შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ; გადახდისუუნარობის და მეწარმეთა შესახებ კანონებში, სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში ცვლილებები; საერთო სასამართლოების სისტემაში კომერციული კოლეგიების/პალატების შექმნა; დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარება (არბიტრაჟი, მედიაცია); წვრილმანი დავებისაგან სასამართლოების განტვირთვა; იპოთეკის საკითხების და უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფის აღკვეთის მოდელის დახვეწა; საცალო ვაჭრობის სფეროში არსებული პრაქტიკული ხარვეზები სასაქონლო-მატერიალური ინვენტარიზაციისას: პროდუქტის შრობისას გამოწვეული დანაკლისთან, მის დაბეგვრასთან და ხარისხების აღრევასთან დაკავშირებული აღრიცხვიანობის გამარტივება და სხვა. ასოციაცია ამ საკითხებზე მუშაობას 2017 წელსაც განაგრძობს, რადგან მათ შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებები ჯერ არ არის მიღებული.



# 2016 წელს 8 ახალი წევრი შემოგვიერთდა

აი სი ჯგუფი
დაზღვევა

RSM

გორგია
მშენებლობა რემონტი

ICR

INTERNATIONAL CORPORATION

საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ

გუდვილი

GOODWILL

GCBH

საქართველოს ვაგონმშენებელთა ჰოლდინგი

Georgian Carriage Builders Holding

KPMG

პროკრედიტ ბანკი

ProCredit Bank

Georgia

# ანალიტიკა 2016

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ორგანიზაციის შიგნით ანალიტიკური საქმიანობის განვითარებას, რადგან ადვოკატირების პროცესში მნიშვნელოვანია გარემოს, ფაქტების და მსოფლიო ტენდენციების ანალიზზე დაფუძნებული პოზიციის შემუშავება. ანალიტიკური საქმიანობის ერთ-ერთი ნაწილია პერიოდული გამოცემები ეკონომიკაზე და მის სექტორებზე. 2016 წელი საკმაოდ ნაყოფიერი იყო ამ თვალსაზრისით. თუ ჩვენს ვებ-გვერდს ესტუმრებით, შეძლებთ გაეცნოთ შემდეგ პუბლიკაციებს:

**მოკლედ ეკონომიკაზე**

ქვეყნის ეკონომიკის კვარტალური მიმოხილვა

**მოზაიკა**

სერია საქართველოსა და რეგიონში ბიზნესგარემოს შესახებ. ამ სერიიდან დღემდე გამოცემულია:

მოზაიკა: გადასახადები – საქართველო და მსოფლიო

მოზაიკა: საბოლოო მომხმარებელი – მოსახლეობა და სახელმწიფო.

**ელექტროენერგეტიკის სექტორის მიმოხილვა**

დღეს რა წერტილშია საქართველოს ენერგეტიკის სექტორი, პასუხობს თუ არა ის ეკონომიკის და ქვეყნის განვითარების მოთხოვნებს და განვითარების რა ალტერნატივები აქვს დარგს? ამ კითხვებს პასუხობს ასოციაციის მიერ მომზადებული ანგარიში.

**ტურიზმის შემაფერხებელი ფაქტორების კვლევა**

ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია საქართველოში, მასში ასოციაციის წევრი კომპანიებიც არიან ჩართულები და ჩვენი ინტერესი დარგის მიმართ, ბუნებრივია, მაღალია. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, შეგვესწავლა, რა ფაქტორები აფერხებს მის განვითარებას და არის გასათვალისწინებელი ამ დარგის პოლიტიკის შემუშავებისას.

**საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში**

ამ ანგარიშის მიზანია ჩვენს წევრ კომპანიებს, ასევე, სხვა დაინტერესებულ პირებს გაუადვილოს ინვესტორებთან ურთიერთობა და საქართველოს ლოკალიზება მსოფლიო ეკონომიკურ რუკაზე. ანგარიში მიმოიხილავს საქართველოს პოზიციებს სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით.

ჩვენ კიდევ ბევრ საინტერესო და აქტუალურ თემებზე ვგეგმავთ ანგარიშის გამოცემას, ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს და გაეცანით ჩვენს პუბლიკაციებს!

**ჩვენი ბლოგი**

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ბლოგი ის ადგილია, სადაც მეტს შეიტყობთ ეკონომიკისთვის აქტუალურ თემებზე, მომხმარებელთა უფლებები – გვაახლოებს თუ არა ევროკავშირთან შემოთავაზებული კანონპროექტი, ენერგეტიკა – გვჭირდება თუ არა ჰესები, დიდი თუ მცირე ზომის? და სხვა.

ეწვიეთ ჩვენს ბლოგს მისამართზე www.bag.ge/ge/blog და წაიკითხეთ მოსაზრებები, სტატიები თემებზე, რომლებიც კერძო სექტორს პირდაპირ ეხება, დატოვეთ კომენტარები და ჩაერთეთ დისკუსიაში.


ელექტრო სადგურები
პირდაპირი მომხმარებლები
ესკო
გამანაწილებელი კომპანიები
იმპორტიორები, ექსპორტიორები
გადამცემი სსე ენერგოტრანსი საქრუსენერგო
დისპეტჩერი სსე


800 000
700 000
600 000
500 000
400 000
300 000
200 000
100 000
0
რუსეთი
საბერძნეთი
იტალია
აშშ
თურქეთი
40.1%
10.9%
10.1%
9.3%
6.4%
2014
2015
წილი მთლიან გზავნილებში


12000
10000
8000
6000
4000
2000
0
35%
30%
25%
15%
10%
5%
0%
-5%
-10%
15.8%
21.6%
17.3%
2007
2008
2009
2010
2011
2012
2013
2014
2015
2016*
მოხმარება აფხაზეთის გარდა
აფხაზეთის მოხმარება
მშპ რეალური ზრდა %
მოხმარების წლიური ზრდა %
აფხაზეთის წილი მთლიან მოხმარებაში


ექსპორტი
იმპორტი
6%
6%
5%
5%
9%
15%
9%
8%
8%
2015
2014
2013
2012
2011
2010
2009
2008
2007
6%
8%
5%
6%
5%
2%
3%
7%
5%
2000
1500
1000
500
0
0
500
1000
1500
რუსეთი
აზერბაიჯანი
სომხეთი
თურქეთი
ექსპორტის წილი მთლიან გამომუშავებაში
იმპორტის წილი მთლიან მოხმარებაში





# პარტნიორობები 2016 წელს

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია ადვოკატირების პროცესში მრავალ მხარესთან თანამშრომლობს, მათ შორის არიან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, კვლევითი ცენტრები, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, დონორი ორგანიზაციები. ლოკალური პარტნიორების გარდა, ასოციაციას პარტნიორები ჰყავს საერთაშორისო არენაზე.

ასოციაციამ 2016 წელსაც იზრუნა საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერებაზე და თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ჩინეთის ძიანგცის პროვინციის საერთაშორისო ვაჭრობის განყოფილებასთან. ძიანგცი ჩინეთის უდიდესი პროვინციაა, საქართველოსთვის ის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია და შესაბამისად, ეს მემორანდუმი დამატებით შეუწყობს ხელს საქართველო-ჩინეთს შორის ბიზნესურთიერთობებს.

გარდა ამისა, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია 2015 წლიდან არის საფრანგეთის ყველაზე მსხვილი ბიზნესგაერთიანების MEDEF INTERNATIONAL-ის პარტნიორი. ეს ორგანიზაცია საფრანგეთის 800 000-მდე კერძო კომპანიას აერთიანებს ბიზნესინტერესების დაცვის მიზნით.

ასევე, უკვე მეოთხე წელია, ასოციაცია მსოფლიო ბანკის კერძო სექტორთან ურთიერთობის ოფიცერთა ქსელის (World Bank Private Sector Liaison Officer Network) ერთადერთი წარმომადგენელია კავკასიაში. ეს ქსელი საშუალებას გვაძლევს, დავუკავშირდეთ მსგავს ბიზნესასოციაციებს მთელს მსოფლიოში და, საჭიროებისამებრ, მივიღოთ მათგან ინფორმაცია, გავიზიაროთ გამოცდილება ან დავეხმაროთ ჩვენს წევრებს საჭირო პარტნიორული ურთიერთობების დამყარებაში.

THE WORLD BANK

European Bank
for Reconstruction and Development

IFC
International Finance Corporation
World Bank Group

INTERNATIONAL MONETARY FUND

PRIVATE SECTOR LIAISON OFFICERS
pslo
Network

MEDEF
INTERNATIONAL

CCPIT
JX



# სოციალური პასუხისმგებლობა 2016

## ირინა კვახაძე,
## აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია ძლიერი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციაა. წლიდან წლამდე ვცდილობთ, წვლილი შევიტანოთ საზოგადოებისთვის მტკივნეული, საჭირბოროტო პრობლემების დაძლევაში, ასევე, ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი საკითხების გადაჭრაში.

დღემდე საქართველოს ბიზნეს ასოციაციას არაერთ სოციალურ წამოწყებაში მიუღია მონაწილეობა, ან თავად ყოფილა ასეთის ინიციატორი.

2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების დასახმარებლად საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ 1 მილიონ ლარამდე თანხას მოუყარა თავი, რომელიც 400 ოჯახზე მეტზე თანაბრად გადანაწილდა.

2015 წლის 13 ივნისის წყალდიდობის შედეგებთან გამკლავებაშიც შეიტანა ასოციაციამ საკუთარი წვლილი, ასოციაციის ორგანიზებით კერძო სექტორმა 5 მილიონ ლარზე მეტს მოუყარა თავი, რომელიც მოხმარდა როგორც დაზარებულების ოჯახებს, ისე – ინფრასტრუქტურას.

2016 წელს კი საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ მწერალთა სახლის მეორე სართულზე მდებარე დავით სარაჯიშვილის ოთახისა და მანსარდის სართულის რეაბილიტაციისთის საჭირო სახსრების მობილიზაცია ითავა.

რაც შეეხება 2017 წელს, ვფიქრობთ, ამ წელს ჩვენი რესურსი მოვახმაროთ ქვეყნის განვითარებისთვის ყველაზე აუცილებელს – განათლებას. სწორედ ამიტომ ასოციაცია 2017 წელს ეკონომიკის, ბიზნესისა და დაკავშირებული დარგის სტუდენტებს საშუალებას მისცეს, მოისმინონ სემინარები ქვეყნის წამყვანი მეწარმეებისგან და მენეჯერებისგან. გარდა ამისა, ჩვენ დამწყებ მეწარმეებსაც მივცემთ საშუალებას, გაეცნონ გამოცდილი ენტერპრენიორების გამოცდილებას, მიიღონ რჩევები, იმსჯელონ მათთან ერთად რისკებსა და შესაძლებლობებზე.

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება მის როლს საზოგადოებაში და ცდილობს, იყოს გამორჩეული კორპორატიული კულტურისა და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაცია.








# 2016 წლის 8 დეკემბერს საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ახალი ოფისი საზეიმოდ გაიხსნა





# თქვენი ოთახი ასოციაციაში







2017 წლიდან საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ნებისმიერი წევრი კომპანიის წარმომადგენელს შეგიძლიათ, ისარგებლოთ წევრის ოთახით – ჩვენს ახალ ოფისში, ლეონიძის 2-ში, გელოდებათ თქვენი ოთახი, კომფორტული, მყუდრო და სრულად აღჭურვილი. გვეწვიეთ ნებისმიერ დროს, გამოიყენეთ ოთახი პარტნიორებთან შესახვედრად, სამუშაოდ. ოთახის დასაჯავშნად დაგვირეკეთ ან მოგვწერეთ: info@bag.ge; 995 322 202 215

# ᲡᲐᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ








ჩვენს ახალ ოფისში სხვა სიახლეებიც გელით: დიდი შეხვედრის ორგანიზებას გეგმავთ და საკონფერენციო დარბაზი გჭირდებათ? საქართველოს ბიზნეს ასოციაცია გიმასპინძლებთ საკუთარ საკონფერენციო დარბაზში, რომელიც ჩვენს ახალ ოფისში, ლეონიძის 2-შია განთავსებული. დარბაზი სრულად არის აღჭურვილი ტექნიკურად, გააჩნია მაღალი ხარისხის აუდიო-ვიდეო სისტემა. ოფისში დამატებით შეხვედრების ორი ოთახია, რომლებითაც, ასევე, შეგიძლიათ, ისარგებლოთ. დეტალებისთვის დაგვიკავშირდით: info@bag.ge; 995 322 202 215




BAG


BAG











### აგარის შაქრის კომპანია

www.agara.ge

აგარის შაქრის გადამამუშავებელი ქარხანა საქართველოში ერთადერთი საწარმოა, რომელიც ამუშავებს და აწარმოებს თეთრ შაქარს. ქარხანა დაარსების დღიდან (1932 წელი) აწარმოებს სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი ნორმების შესაბამის თეთრ შაქარს. ქარხანაში შაქრის წარმოება მიმდინარეობს უწყვეტ ციკლად 24 საათიან რეჟიმში და დასაქმებულია 530 ადამიანი. ქარხნის დღიური წარმადობა შეადგენს 600 ტონა თეთრ შაქარს, წლიური წარმადობა კი 150 000-160 000 ტონა თეთრ შაქარს. კომპანიის წლიური შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში სხვადასხვა გადასახადის სახით შეადგენს დაახლოებით 21 მლნ. ლარს.

### ავერსი

www.aversi.ge

ფარმაცევტული კომპანია „ავერსი“ 1994 წელს დაარსდა და პირველი ბიზნესნაბიჯი მედიკამენტების იმპორტი გახლდათ, თუმცა კომპანიის მასშტაბები თანდათან გაფართოვდა. დღეს „ავერსი“ არა მარტო საქართველოში და ამიერკავკასიაში, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცეშიც ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ფარმაცევტული კომპანიაა. მისი სააფთიაქო ქსელი 213 ფილიალს აერთიანებს. ამასთან, „ავერსის“ დამფუძნებლის ინიციატივით ათიოდე წლის წინ მსოფლიო დონის საწარმოს „ავერსი-რაციონალის“ მშენებლობა დაიწყო და დღეს ამ საწარმოს პროდუქცია არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ აზერბაიჯანში, სომხეთსა და უკრაინაშიც მსოფლიო ფარმაცევტული ბრენდების ნაწარმს უწევს კონკურენციას. მასშტაბური პროექტის – „ავერსის კლინიკათა“ ქსელის მშენებლობის ინიციატორიც „ავერსის“ დამფუძნებელი გახლავთ. „ავერსის კლინიკა“ მთელი საქართველოს მასშტაბით 9 სამედიცინო დაწესებულების მფლობელია. ასევე, „ავერსი“ არის სადაზღვევო კომპანიის „ალფას“ დამფუძნებელიც. ავერსმა საზოგადოებაში ქველმოქმედის სახელიც დაიმკვიდრა. სოციალურად დაუცველი ფენების მხარში დგომა და დახმარება „ავერსის“ მესვეურთა კეთილი ნების გამოხატულებაა.

### აზოტი

www.azot.ge

რუსთავის „აზოტი“ ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილების მქონე ქიმიური საწარმო და აზოტოვანი სასუქების ერთადერთი მწარმოებელია სამხრეთ კავკასიის რეგიონში. რუსთავის „აზოტში“ გარდა აზოტოვანი სასუქებისა, ასევე იწარმოება ამიაკის, ნატრიუმის ციანიდის, აზოტმჟავის, ამიაკის წყლის და სხვა პროდუქციის წარმოება. საწარმო წარმოადგენს საქართველოს შიდა ბაზარზე და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში აზოტოვანი სასუქების ძირითად მიმწოდებელს. საწარმო „აზოტის“ პროდუქციის მომხმარებლებია ასევე ხმელთაშუა და შავი ზღვის ქვეყნები. ბოლო წლებში იმ გამოგონებებისათვის, რომელთა დანერგვა საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები და მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად გაიზარდოს პროდუქციის ხარისხი, საწარმოზე გაცემულია საქართველოს რესპუბლიკის პატენტები. საწარმოში დღეს დასაქმებულია 2 ათასზე მეტი ადამიანი. დღეისათვის, რუსთავის „აზოტი“ თავისი შესაძლებლობებით ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სამრეწველო საწარმოა საქართველოში.

## აი სი არ ჯგუფი

**www. icrcorp.ge**

„საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სტაბილური ორგანიზაციაა საცალო ბიზნესის სფეროში საქართველოში. კომპანიამ 1993 წელს დაიწყო საქმიანობა ქართულ ბაზარზე და ამჟამად 700-მდე თანამშრომელი ჰყავს. „აი სი არ“ წარმოადგენს ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, აქსესუარების, ავეჯის საერთაშორისო ბრენდებსა და კვების ობიექტებს. კომპანიის პორტფოლიო აერთიანებს 22 ბრენდს.„აი სი არ“ 2016 წლიდან ოპერირებს როგორც ჰოლდინგი და აერთიანებს სხვადასხვა კომპანიებს: International Corporation ICR, ICR Trade, ICR Food and Beverage, Hippo.

## აი სი ჯგუფი

**www.icgroup.ge**

„აი სი ჯგუფი“ დაფუძნდა 2005 წლის 10 ნოემბერს. დაარსების დღიდან კომპანია წარმატებულად ოპერირებს სადაზღვევო ბაზარზე. კონკურენტული გარემოს მიუხედავად, „აი სი ჯგუფმა“ ღირსეული ადგილის დაკავება შეძლო საქართველოში მოქმედ წამყვან სადაზღვევო მოთამაშეებს შორის. „აი სი ჯგუფი,“ მას შემდეგ რაც 2009 წლის მაისში შეიძინა სადაზღვევო კომპანია“ სახალხო დაზღვევა“, ერთ-ერთი უმსხვილესი მოთამაშე გახდა სამედიცინო დაზღვევის ბაზარზე. 2010-2012 წლებში კომპანია მნიშვნელოვნად იყო დაკავებული საავადმყოფოების შენება-აღჭურვით. „აი სი ჯგუფის“ მიერ აშენებულ-აღჭურვილი საავადმყოფოები საქართველოს 7 რეგიონშია წარმოდგენილი: ხაშური, ბოლნისი, მესტია, ონი, ამბროლაური, რაჭა-ლეჩხუმი. 2011 წელს კომპანია გადავიდა ახალ სათავო ოფისში და წამოიწყო საცალო და სადისტრიბუციო ქსელის განვითარება. ამჟამად „აი სი ჯგუფი“ მუშაობს 10 ფინანსურ დაწესებულებასთან ერთად და მათთან თანამშრომლობის საშუალებით არის წარმოდგენილი ქვეყნის მასშტაბით. „აი სი ჯგუფი“ უნივერსალური კომპანიაა და ის მომხმარებელს სთავაზობს პრაქტიკულად ყველა სადაზღვევო პროდუქტს. კომპანია აქტიურადაა ჩართული დაზღვევის სფეროს საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავებაში როგორც საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის და სავაჭრო და ინდუსტრიული პალატის წევრი, ასევე სადაზღვევო განვითარების კავშირის დამფუძნებელი.

„აი სი ჯგუფის“ ჩართვამ აგრო დაზღვევის სუბსიდირების კანონპროქტზე მუშაობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მთავრობის მიერ სუბსიდირებული აგრო დაზღვევის საპილოტე პროგრამის გაშვებაში, რომელიც 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა და მასში ჩართული 5 წამყვანი სადაზღვევო კომპანიიდან ერთ-ერთი „აი სი ჯგუფია.“

## აიდეკო

**www.ideco.ge**

საერთაშორისო განვითარების კომპანია „აიდეკო“ საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე გამოჩნდა 2007 წელს. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია უძრავი ქონების განვითარება, მშენებლობის მენეჯმენტი, უძრავი ქონების მართვა და მომსახურება. საცხოვრებელი კომპლექსი „სახლი ოპერასთან“ წარმოადგენს კომპანიის ერთ-ერთ განხორციელებულ პროექტს, რომელიც დასრულდა 2012 წელს. ქართულ სამშენებლო ბაზარზე „აიდეკომ“ ერთ-ერთმა პირველმა შესთავაზა კლიენტებს ეკოლოგიურად სუფთა და ენერგოეფექტური მასალებით გარემონტებული ბინები და ოფისები.

„აიდეკო“ აქტიურად არის ჩართული ისტორიული ბალნეოლოგიური კურორტის, წყალტუბოს რეკონსტრუქციის პროცესში. კურორტის ძირითადი სტრატეგიული დანიშნულების ადგილები და სამკურნალო აბანოები ჰოლდინგის საკუთრებას წარმოადგენს. გარდა ამისა, კომპანია „აიდეკო“ პარტნიორებთან ერთად ფლობს სასაწყობე მეურნეობას 7,5 ჰა, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს, როგორც ტრანზიტული ქვეყნის მნიშვნელობიდან გამომდინარე. კომპანია ასევე აქტიურად განიხილავს ენერგეტიკულ პროექტებში ინვესტირების საკითხს. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა კომპანიის ახალ ინტერესთა სფეროს წარმოადგენს, რომელიც ქვეყნის ტრადიციებიდან და რესურსებიდან გამომდინარე იძლევა ბიზნესის განვითარების ფართო შესაძლებლობებს.

არქი ჯგუფი

### არქი

**www.archi.ge**

არქი ჯგუფი დაარსდა 2006 წელს. თავდაპირველად კომპანია დაკავებული იყო საინვესტიციო და საკონსულტაციო საქმიანობით, 2008 წლიდან კი აქტიურად შემოვიდა საქართველოს დეველოპერულ ბაზარზე; არქი ჯგუფი ერთ-ერთი პირველი კომპანიაა, რომელიც ზრუნავს მშენებლობის მაღალ ხარისხსა და ეკოლოგიურობაზე, იყენებს მხოლოდ ენერგოეფექტურ მასალებს. არქი ჯგუფი სამშენებლო პროექტებს თბილისის თითქმის ყველა უბანში ახორციელებს; დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში კი მიმდინარეობს მასშტაბური პროექტები, მათ შორის მრავალფუნქციური სახოვრებელი კომპლექსი „არქი თაუერის" მშენებლობა ჭავჭავაძის გამზირზე. კომპანიის საკუთრებაშია უკვე გახსნილი სასტუმროების ქსელი „სანსეტი": სანსეტ კვარიათი – სასტუმრო ტიპის ელიტარული აპარტამენტები კვარიათში და სანსეტ შოვი – პირველი ოთხვარსკლავიანი სასტუმრო რაჭის კურორტ შოვში; ძველ თბილისში შენდება ბუტიკის ტიპის სასტუმრო „სილვერ 39".

OUtdooR.ge

### აუთდორი

**www.outdoor.ge**

კომპანია „აუთდორ.ჯი"დაარსდა 2008 წელს და მოკლე დროში დაიკავა ლიდერის პოზიცია საქართველოს გარე რეკლამის ბაზარზე. „აუთდორ.ჯი" მომხმარებლებს სთავაზობს ეფექტურ და მრავალფეროვან გარე სარეკლამო მომსახურებას მთელი საქართველოს მასშტაბით. კომპანია ფლობს უფლებას განათავსოს საიმიჯო რეკლამა: ბილბორდებზე, მონიტორებზე, თბილისის ლიფტებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე (ავტობუსი და მეტრო), ქალაქში არსებულ საფეხმავლო ხიდებზე.კომპანიის გამოცდილი და კვალიფიციური გუნდი ეხმარება ორგანიზაციებს, მრავალფეროვანი სარეკლამო საშუალებების სწორი კომბინაციისა და კონკრეტულ საქმიანობაზე მორგებული პირობების შერჩევით ეფექტურად მიიტანონ ინფორმაცია მიზნობრივ მომხმარებლამდე, შედეგად გაზარდონ ბრენდის ცნობადობა და გაყიდვები.

ბაზისბანკი
BASISBANK
ჰუალინგ ჯგუფის წევრი

### ბაზისბანკი

**www.basisbank.ge**

„ბაზისბანკი" საქართველოში 1993 წელს დაარსდა. ბანკის მენეჯმენტს ჰქონდა მკაფიო მიზანი, შეექმნა მოქნილი, სანდო, ფინანსურად გამჭირვალე და კლიენტების მოთხოვნებზე ორიენტირებული უნივერსალური ინსტიტუტი. მუდმივი და სტაბილური ზრდისა და განვითარების ფონზე, „ბაზისბანკმა" აიმაღლა ცნობადობა და რეგიონში საიმედო პარტნიორის სტატუსი მოიპოვა. 2008 წელს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) „ბაზისბანკის" 15%-იანი აქციათა პაკეტის მფლობელი გახდა. 2012 წელს უმსხვილესმა ჩინურმა კომპანიამ „ჰუალინგ ჯგუფმა „ ბანკის აქციათა 90% შეისყიდა, დღეს ეს წილი 99.8%-მდე გაზარდა. თავად „ჰუალინგ ჯგუფმა" საქართველოში 2007 წლიდან დაიწყო საინვესტიციო პროექტების განხორციელება და დღემდე, „ჰუალინგ ჯგუფმა „ საქართველოში განახორციელა 5 ძირითადი, მსხვილი საინვესტიციო პროექტი, რომელთა მთლიანი საინვესტიციო თანხა 2014 წლის ბოლოსათვის 500 000 000 აშშ დოლარია. 2014 წლის ბოლო მონაცემებით, „ჰუალინგ ჯგუფი" საქართველოში წამყვან, უცხოურ საინვესტიციო კომპანიად დასახელდა. დღესდღეისობით „ბაზისბანკის" ბრუნვა ყოველწლიურად აღემატება 46 მლნ ლარს. მის მიერ ბიუჯეტში შეტანილი თანხა გადასახადების სახით 4,6 მლნ ლარს შეადგენს. მთლიანობაში „ბაზის ბანკის" თანამშრომლების რაოდენობა 300-ს აღემატება.

**ბი დი ო**

**www.bdo.ge**

აუდიტური და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია ბიდიო ბაზარზე უკვე ჯგუფის სახით არის წარმოდგენილი. 2016 წლის დასაწყისიდან ბიდიოს ბრენდის ქვეშ გაერთიანდა ტექნოლოგიური კონსულტაციის და დეველოპმენტის მიმართულება ბიდიო სოლუშენსის სახით, ბიზნეს ტრენინგებისა და სერტიფიკაციის მიმართულება ბიდიო აკადემიის სახით და ადამიანური რესურსების და სახელფასო აღრიცხვის მიმართულება ბიდიო ეიჩარ ენდ ფეიროლის სახით.200-მდე პროფესიონალითა და გლობალური ქსელის მხარდაჭერით, რომელიც 154 ქვეყანაშია წარმოდგენილი, ბიდიო კლიენტებს სთავაზობს აუდიტორული, საგადასახადო, აუთსორსინგის, კორპორაციული ფინანსების, იურიდიული, ტექნოლოგიური დეველოპმენტის მომსახურებისა და ბიზნეს ტერნინგების ფართო სპექტრს. ბიდიოს საქართველოში ლიდერი, მე-4 პოზიცია უკავია წამყვან აუდიტორულ და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიებს შორის. ბიდიოს პროფესიონალების გუნდი ინოვაციური მიდგომებით ეხმარება კლიენტებს მათი ბიზნესის ზრდაგანვითარებაში, სამუშაო პროცესების დახვეწასა და შესაძლო რისკების გამოვლენაში. კლიენტებთან განსაკუთრებული ურთიერთოებები, მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე აქცენტირება, პარტნიორული მიდგომები, პასუხისმგებლობა და სანდოობა, დაპირებების შესრულება და ღია, გულწრფელი კომუნიკაციის შენარჩუნება ბიდიოს მთავარი ფასეულობებია.

**ბორან ჯგუფი**

**www.borun.ge**

„ბორან ჯგუფი" ჰოლდინგური კომპანიაა, რომელიც საქართველოს მასშტაბით ბიზნესის სხვადასხვა სფეროში საქმიანობს, ესენია: სამთო მრეწველობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა და საკონსულტაციო საქმიანობა. ჯგუფში შემავალი 6 კომპანიიდან ყველა ქართულ ბაზარზე მოღვაწეობს, ზოგიერთ სპროდუქცია გააქვს ექსპორტზე ევროკავშირში. „ბორან ჯგუფი" მიზნად ისახავს ბაზარზე წილის გაზრდასდა შესაბამის სფეროებში წამყვანი პოზიციების დაკავებას. ჯგუფი ღიაა ერთობლივი საქმიანობისთვის და საინვესტიციო შესაძლებლობებისათვის საერთაშორისო კომპანიებთან ან ინსტიტუტებთან ერთად და ამით ქმნის თანამედროვე, გამჭვირვალე და დამოუკიდებელ კორპორატიულ სტრუქტურას.

**ბორჯომი**

**www.borjomi.ge**

კომპანია „IDS borjomi საქართველო" საერთაშორისო კომპანია „IDS Borjomi International"-ის შემადგენელი ნაწილია. IDS Borjomi International ნატურალური მინერალური წყლების უმსხვილესი მწარმოებელია. წარმოების მაჩვენებლის მიხედვით იგი დსთ-სა და ბალტიისპირეთის მასშტაბით ბაზრის ლიდერი კომპანიაა ბოთლში ჩამოსხმული ნატურალური მინერალური წყლების სეგმენტში. კომპანია „ IDS ბორჯომი საქართველო" ქართული მინერალური წყლების ბაზრის ლიდერია. ბაზარზე მისი პროდუქცია წარმოდგენილია მინერალური წყლის შემდეგი ბრენდებით: „ბორჯომი", „ლიკანი", „ბორჯომის წყაროები" და „ბაკურიანი". საყოველთაოდ ცნობილი ბრენდით „ბორჯომი" კომპანია დღეისათვის მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაშია წარმოდგენილი.

### გალფი

**www.gulf.ge**

Gulf Georgia ერთ-ერთი წამყვანი ნავთობკომპანიაა ქართულ ბაზარზე, რომელიც საწვავის ხარისხითა და მომსახურების მაღალი დონით გამოირჩევა. 2010 წლის მარტიდან საქართველოში საერთაშორისო ბრენდს ოფიციალურად შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია" წარმოადგენს. მსოფლიო ბრენდი Gulf Oil International, რომელიც 1901 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფუძნდა, ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშეა მსოფლიო ბაზარზე. Gulf Georgia 140 ავტოგასამართ სადგურს აერთიანებს საქართველოს მასშტაბით, მათგან 43 თბილისში მდებარეობს. საწვავის იმპორტს კომპანია ევროპის საუკეთესო ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებიდან აწარმოებს და ხარისხის კონტროლის თვალსაზრისით აკმაყოფილებს უმაღლეს სტანდარტებს. გალფის ავტოგასამართი სადგურები გამოირჩევა თანამედროვე აღჭურვილობითა და დასავლურ სტანდარტებზე დაფუძნებული ინოვაციური ტექნოლოგიებით. გალფი წარმოადგენს ერთ-ერთ მსხვილ დამსაქმებელს საქართველოში. კომპანიაში დღეს 1300-ზე მეტი დასაქმებულია და მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდება.

### გდ ჯგუფი

**www.whiskyhouse.ge**

„GD Group" და აფილირებული კომპანიები „გდ ალკო", „International Brands Network", „ქართული სადისტრიბუციო მარკეტინგული კომპანია" საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სურსათის სადისტრიბუციო კომპანიებია, რომელთაც ქვეყნის მაშტაბით სურსათის დისტრიბუციის საბითუმო ბაზარზე წამყვანი პოზიციები უკავიათ. „გდ ალკოს" გააჩნია საკუთარი პრემიალური ალკოჰოლური სასმელის მაღაზიათა ქსელი „ვისკის სახლი" და ასევე, ავითარებს ახალ ქსელს „ალკორიუმს", რომელიც გათვლილია მომხმარებლის უფრო ფართო კატეგორიაზე. ჯგუფში შემავალი კომპანია შპს „GDG" წარმოადგენს რეგიონალურ ლიდერს პრემიალური ალკოჰოლური სასმელით ვაჭრობაში და ასრულებს სავაჭრო-ლოგისტიკური ჰაბის ფუნქციას ამიერკავკასიის და შუა აზიის ქვეყნებისთვის, კომპანიის საკუთრებაშია ასევე საბაჟო საწყობი. კომპანიებში მუდმივად მიმდინარეობს თანამედროვე ტექნოლოგიების და სისტემების დანერგვა და ისინი წარმოადგენენ სანდო და გრძელვადიან პარტნიორებს, როგორც ქართული, ასევე, მრავალი საერთაშორისო კომპანიისთვის.

### გორგია

**www. bmcgorgia.ge**

„გორგია" 1998 წელს დაარსდა, რითაც ქართულ ბაზარზე სამშენებლო-სარემონტო მასალების გაყიდვების კუთხით ერთ-ერთი პირველი კომპანია გახდა. დღეს „გორგია" ამიერკავკასიაში წამყვანი, ყველაზე მსხვილი სამშენებლო და სარემონტო მასალების სავაჭრო კომპანიაა. „გორგია" ბაზარზე წარმოდგენილია ორი შვილობილი ბრენდით: „ჰიპერმარკეტი გორგია" და „გორგია პრემიუმი".

#### „ჰიპერმარკეტი გორგია"

2014 წელს „გორგიამ" პირველად საქართველოს ბაზარზე 10.000 კვ. მეტრზე გახსნა სამშენებლო და სარემონტო მასალების პირველი ჰიპერმარკეტი. სამშენებლო-სარემონტო მასალების მაღაზიების სექტორში დღეს „გორგია" უპირობო ლიდერია და წარმოდგენილია ბაზარზე ოთხი მაღაზიით შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ბათუმი ქუთაისი და ზუგდიდი. „გორგიაში" ყველაფერია რემონტისთვის და მშენებლობისთვის: კერამიკული ფილები, სააბაზანო მოწყობილობები, ავეჯი, ცენტრალური გათბობის სისტემები, სახურავები, ლამინირებული იატაკი, სალებავები, სამშენებლო ქიმია, ჭურჭელი და სხვა 35 000-ზე მეტი დასახელების პროდუქტი საქართველოში ყველაზე ხელმისაწვდომ ფასად.

### „ᲒᲝᲠᲒᲘᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲣᲛᲘ“

„გორგია პრემიუმი“ საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე მომხმარებლისთვის შეიქმნა, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია პროდუქტების მაღალი ხარისხი და დახვეწილი, თანამედროვე დიზაინი. „გორგია პრემიუ-მის“ შოუ-რუმში შესაძლებელია ევროპული ბრენდების შეძენა შემდეგი კატეგორიებიდან: აბაზანა და სველი წერტილები, იატაკი და ფილები, ავეჯი და კარები. საცალო გაყიდვების გარდა დიზაინის იდეიდან პროექ-ტის რეალიზებამდე „გორგია პრემიუმი“ აგრეთვე თანამშრომლობს: დიზაინერებთან, არქიტექტორებთან და დეველოპერებთან და ეხმარება მათ პროექტის ყველა ეტაპზე. „გორგიას“ უპირატესობა განვითარებული სადისტრიბუციო ქსელი და ძლიერი კორპორატიული გაყიდვებია. კომპანიის მიზანია, შეინარჩუნოს ლიდე-რის პოზიცია საქართველოს ბაზარზე და სრულად დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნები. კომპანიის სწრაფვა, გააუმჯობესოს მომხმარებელთა მომსახურების ხარისხი, დადასტურებულია 2009 წელს მიღებული ISO სერტიფიკატით. მრავალწლიანი გამოცდილება, მრავალფეროვანი და ხარისხიანი საქონლის ასორტი-მენტი, პროფესიონალი კადრები, მაქსიმალურად მოქნილი სერვისი – ეს არის „გორგიას“ წარმატების მთა-ვარი განმაპირობებელი ფაქტორები, რის გამოც მომხმარებელი ირჩევს „გორგიას“!

### ᲒᲣᲓᲕᲘᲚᲘ

**www. goodwill.ge**

კომპანია „გუდვილი“ 2004 წელს დაარსდა და მას შემდეგ მუდმივად დინამიურად ვითარდება. დღეს ის საქართველოს მასშტაბით 2 ჰიპერმარკეტს, 4 სუპერმარკეტს, ცენტრალიზებულ საწარმოს, კაფე-ტერიებს და ბულანჟერიებს ფლობს. გუდვილში დასაქმებულია 1400-მდე ადამიანი. კომპანიის მისიაა იყოს ლიდერი საცალო ვაჭრობისა და წარმოების ბაზარზე, წარმართოს საქმიანობა მომხმარებელთა, თანამშრომელთა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით.

1. „გუდვილი დიდი დიღომი“ – ჰიპერმარკეტ გუდვილის პირველი ობიექტი 2004 წელს დიღომში გაიხსნა. ჰიპერმარკეტის საერთო ფართი: 24 000 კვ/მ.-ია.
2. „გუდვილი ვაკე“ – 2009 წელს გაიხსნა სუპერმარკეტი „გუდვილი ვაკე“. ფილიალის საერთო ფართი: 2 500 კვ/მ.-ია.
3. „გუდვილი საბურთალო“ – 2011 წელს გაიხსნა. საბურ-თალოს ჰიპერმარკეტის საერთო ფართობი 4300 კვ.მ.-ია.
4. „გუდვილი ბათუმი“ – 2010 წელს გაიხსნა ბათუმის გუდვილი (საერთო ფართი 500 კვ/მ). „გუდვილი ბათუმის“ საერთო ფართი: 1,400 კვ.მ.-ია
5. „გუდვილი ბათუმი“ (სოკარი) – გუდვილის სუპერმარკეტი განთავსებულია ბათუმში მდებარე სოკარის სერვის-ცენტრშიც. ამ ობიექტის საერთო ფართობია 250 კვ.მ.
6. „გუდვილი გორი“ (სოკარი) – 2012 წელს, თბილისი-გორის ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე გაიხსნა. გორში მდებარე გუდვილის მულტიფუნქციური ობიექტის საერთო ფართობი 800 კვ.მ.-ია.
7. „გუდვილი ლილო“ (სოკარი) — 2013 წელს, თბილისის შემოსასვლელში სოკარის ბენზინგასამართ სადგურზე 500კვ.მ
8. „გუდვილი ბათუმი“ (გორგილაძის №88) – 2015 წელი, ბათუმის სითი მოლში, 2600კვ.მ

კომპანია „გუდვილი“ 2004 წლიდან ქართული საცალო ბაზრის ლიდერი ბრენდია. „გუდვილი“ პრო-დუქტის ასორტიმენტისა და რეალიზაციის ზრდასთან ერთად საკუთარ წარმოებებსაც აფართოებს. კომპანიის მენეჯერთა მთავარი ამოცანა ინოვაციების, ახალი პროდუქტების, მომხმარებელზე ორიენ-ტირებული პროექტების, ახალი ბიზნესიდეების შეთავაზებაა. მაღალკვალიფიციური და მოტივირებული პერსონალი მუდამ ზრუნავს მომხმარებლის კმაყოფილებაზე.

„გუდვილის“ საქმიანობის სფერო მისი მულტიფორმატული სტრუქტურიდან გამომდინარე საკმაოდ მრავალფეროვანია, გუდვილი არის გერმანული, ჰოლანდიური, იტალიური, ფრანგული, ბულგარული, უკრაინული საკვები და არასაკვები პროდუქტების ერთ-ერთი მსხვილი იმპორტიორი საქართველოში.

„გუდვილის“ ქვე-ბრენდებია: „გუდვილ-ქეითერინგი“ (100-ზე მეტი კორპორატიული კლიენტი), „გუდვილ-სელებრეიშენ“, „გუდვილ ჯელატერია“, ბულანჟერია – „მარშე“, კაფეტერიები — „პანორამა ბუფეტი“.

### დაგი

**www.dagi.ge**

შპს „დაგი“ დაარსდა 2004 წელს და დაარსებიდან დღემდე ეწევა სამშენებლო სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ხარისხის კონტროლის სრული დაცვით, რასაც განაპირობებს კომპანიის მრავალწლიანი გამოცდილება, კვალიფიცირებული ინჟინრებისა და არქიტექტორებისგან შემდგარი ერთიანი ჯგუფი. „დაგი“ ცნობილია ხარისხიანი და ეფექტური მომსახურებით, შესრულების პროფესიონალური მახასიათებლებით, მუდმივად მობილიზებული მუშახელითა და უახლესი სპეციალური დანიშნულების ტექნიკით, რამაც განაპირობა კომპანიის მიერ არაერთი მაშტაბური პროექტის განხორციელება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. „დაგი“ ფლობს ISO 9001:2008 სერთიფიკატს (ხარისხის მენეჯმენტის სისტემები). კონკურენციისა და სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 18 ივნისის განკარგულებით „დაგი“ რეგისტრირებულია სააგენტოს „თეთრ სიაში“.

### ვითიბი ბანკი

**ge.vtb.ge**

ვითიბი ბანკი უნივერსალური საბანკო ინსტიტუტია, რომელიც მომხმარებელს თანამედროვე კომერციული საბანკო პროდუქტების სრულ სპექტრს სთავაზობს. ბანკი, როგორც ვითიბის საერთაშორისო ფინანსური ჯგუფის წევრი, საქართველოში მაღალი სტანდარტის მომსახურებას სთავაზობს მსხვილ კომპანიებს, მცირე და საშუალო ბიზნესს და ფიზიკურ პირებს. ბანკის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ექსკლუზიური მაღალტექნოლოგიური პროდუქტების და თანამედროვე დისტანციური მომსახურების შეთავაზება. გლობალური სარეიტინგო სააგენტოს Standard and Poor`s-ის მიერ ვითიბი ბანკს მინიჭებული აქვს რეიტინგი BB-/B. საქართველოში ბანკი 34 წერტილით ოპერირებს.

### ვისოლი

**www.wissol.ge**

„ვისოლ ჯგუფის“ განვითარების ისტორია 14 წლის წინ ნავთობპროდუქტების რეალიზაციით დაიწყო. დღესდღეობით „ვისოლი“ უკვე ერთ-ერთი უდიდესი ბიზნესჯგუფია საქართველოში, რომელმაც არა მხოლოდ ენერგეტიკის თითქმის ყველა სფერო მოიცვა, არამედ სამშენებლო, სარეკლამო, სასტუმროების, სუპერმარკეტებისა და ამერიკული რესტორნების ქსელის ბიზნესსაც ანვითარებს. „ვისოლ ჯგუფის“ შვილობილი ბრენდებია: „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, „ეარ ვისოლი“, „ვისოლ გაზი“, ავტომომსახურების ქსელი „ვიანორ ჯორჯია“, „ვისოლის გაზის სადისტრიბუციო კომპანია“, უძრავი ქონების კომპანია „ველაჯიო“, სარეკლამო კომპანია „ალმა“, სუპერმარკეტების ქსელი „სმარტი“, ამერიკული რესტორნების ქსელი „ვენდის საქართველო“, ამერიკული რესტორნების ქსელი „დანკინ დონატსი საქართველო“, სასტუმრო „ლომსია“, ფიტნესცენტრი „ლაგუნა ქუთაისი“, „ვისოლ ჯგუფის“ საერთაშორისო პარტნიორები არიან: BNP Paribas, Geneva, Societe General, Geneva, BCGE _ Banque Cantonale de Geneve, ATB _ Amsterdam Trade Bank, EBRD _ European Bank for Reconstruction and Development, OPIC _ Overseas Private Investment Corporation, Total, Chevron, Nokian Tyres, Vianor, Wendy’s, Dunkin’ Donuts.

TBILVINO
WINES OF GEORGIA

## თბილღვინო

**www.tbilvino.ge**

საწარმოს ისტორია XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება. 1962 წელს, მაშინ, როცა თბილისში მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესი მიმდინარეობდა, საქართველოში იმ დროისთვის ყველაზე დიდი ღვინის საწარმო გაიხსნა. მრავალწლიანი ისტორიისა და დიდი მასშტაბების მიუხედავად, ქარხანა მაინც საბჭოთა მეღვინეობის ნაწილად რჩებოდა პოსტსაბჭოთა წლებშიც კი, სანამ 1999 წელს ყველაფერი არ შეიცვალა და არ შეიქმნა ახალი ფილოსოფია, რომელიც დღესაც იხვეწება. ამ ფილოსოფიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ „თბილღვინო" უნდა იყოს პასუხისმგებელი საწარმოს მიერ ჩამოსხმულ თითოეულ ბოთლზე, თვალყური ადევნოს ღვინის წარმოების ყოველ ეტაპს ვენახიდან მომხმარებლამდე და უპასუხოს ახალ ტენდენციებს. „თბილღვინო" ძალზე აქტიურად იყენებს თანამედროვე უცხოელი მეღვინეების გამოცდილებასაც. 2002 წლიდან მოყოლებული „თბილღვინოს" ღვინოების სტილის შექმნაში მონაწილეობას იღებენ ცნობილი ავსტრალიელი, ფრანგი და იტალიელი მეღვინეები, რომლებიც თავისი განუმეორებელი ღვინის ფილოსოფიით გამოირჩევიან.

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

## თეგეტა მოტორსი

**www.tegetamotors.ge**

„თეგეტა მოტორსი" წარმოადგენს ჰოლდინგს, რომელიც კორპორატიულ და საცალო მომხმარებელს ავტოპროდუქტებისა და ავტოტექმომსახურების სრულ ასორტიმენტს სთავაზობს. ჰოლდინგი აერთიანებს 5 შვილობილ კომპანიას: შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასი", შპს „თეგეტა ქონსტრაქშენ ექვიფმენთი", შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს", ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია და „ტოიოტა ცენტრი თეგეტა". დღეისათვის კომპანიაში დასაქმებულია 1200-ზე მეტი ადამიანი. ემსახურება 10 000-მდე კორპორატიულ კლიენტს და 800-მდე საბითუმო ობიექტს, გამოირჩევა დახვეწილი სავაჭრო ინფრასტრუქტურით და აერთიანებს 20 ფილიალს, რომლებიც თბილისსა და საქართველოს ყველა დიდ ქალაქში მდებარეობს. „თეგეტა მოტორსი" უკვე 22 წელია მოღვაწეობს ქართულ ბაზარზე და ავტოინდუსტრიაში მუდმივად ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას. „თეგეტა მოტორსი" არის მსოფლიოში წამყვანი 300-ზე მეტი ბრენდის უმსხვილესი იმპორტიორი საქართველოში, როგორებიც გახლავთ: Bridgestone, Michelin, Riken, Falken, Varta, Exide, Shell, Motul, Fuchs-titan, Meguin, Hengst, ZF Parts, Lemforder, Sachs, Philips, Bosch, Febi, Federal Mogul და სხვა.

თიბისი ბანკი
TBC BANK

## თიბისი ბანკი

**www.tbcbank.ge**

„თიბისი ბანკი" წამყვანი უნივერსალური საბანკო ჯგუფია საქართველოში, რომლის წილი საცალო დეპოზიტებში 33.3%-ს, ხოლო მთლიანად დეპოზიტებში 27.8%-ს შეადგენს. მეორე ადგილზეა სესხებისა და აქტივების მხრივ შესაბამისად 27% და 25.8% წილით. ბანკი ემსახურება 1.100 ათასზე მეტ კლიენტს დივერსიფიცირებული, მრავალარხიანი პლატფორმით, „თიბისი ბანკის" 121 ფილიალით. გააჩნია ბანკომატებისა და სწრაფი ჩარიცხვის აპარატების ერთ-ერთი უდიდესი ქსელი საქართველოში. ჯგუფში დასაქმებულია 4900 ადამიანი, მათგან ნახევარზე მეტი, უკვე 4 წელზე მეტია რაც ბანკში მუშაობს. წლების განმავლობაში ბანკს მრავალი ჯილდო აქვს მიღებული. მათ შორის, Global Financee Magazine-ის მიერ ექვსჯერ დასახელდა როგორც „საუკეთესო ბანკი საქართველოში", ექვსჯერ The Banker, სამჯერ EMEA Finance და Euromoney-ის მიერ. „თიბისი ბანკს" მრავალფეროვანი საბანკო პროდუქტებისა და სერვისების არჩევანი აქვს მისი საცალო, კორპორატიული და მცირე და საშუალო, ასევე მიკრო კლიენტებისათვის. ბანკის კლინტთა უმრავლესობა საქართველოშია კონცენტრირებული.

### თიბისი ლიზინგი

**www.tbcleasing.ge**

„თიბისი ლიზინგი“ დაფუძნდა 2003 წელს. 600 კლიენტითა და მათთან გაფორმებული 1400-ზე მეტი მოქმედი ხელშეკრულებით, კომპანია დღეისათვის ლიდერია ბაზარზე და მართავს 85 მლნ. ლარის პორტფელს. „თიბისი ლიზინგის“ კლიენტები არიან სამედიცინო, პოლიგრაფიული, სატრანსპორტო კომპანიები, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის, მომსახურებისა და ვაჭრობის, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის სფეროში მომუშავე კომპანიები. სისწრაფე და მოქნილობა მიმზიდველს ხდის „თიბისი ლიზინგის“ პროდუქტებს როგორც დამწყები და მზარდი, ასევე შემდგარი მსხვილი კომპანიებისათვის. დღეისათვის ლიზინგის ჯამურმა პორტფელმა საქართველოში 124 მლნ. ლარს გადააჭარბა, საიდანაც მოწინავე ადგილი 70%-ით „თიბისი ლიზინგს’ უჭირავს. თიბისი ლიზინგის პარტნიორები არიან: BSTDB, EBRD, RESPONSABILITY, SYMBIOTICS, MICROVEST, TRIPLE JUMP და სხვა.

### იბერია რიფრეშმენტსი

**www.pepsi.ge**

„იბერია რეფრეშმენტსი“ აწარმოებს უალკოჰოლო გამაგრილებელ სასმელებს. ძირითადი პროდუქტებია პეპსი და პეპსი ლაითი. ს.ს. „იბერია რეფრეშმენტსი“ ფუნქციონირებს 2004 წლიდან. 2005 წელს Pepsico International-მა იბერია რეფრეშმენტს გადასცა ჯილდო, როგორც ყველაზე სწრაფად მზარდ კომპანიას პეპსის ჩამომსხმელებს შორის. დღეისათვის კომპანიას უკავია საქართველოს ბაზარზე ერთერთი წამყვანი პოზიცია. კომპანიაში დასაქმებულია 227 თანამშრომელი. ყოველ წელს კომპანია აფართოვებს პროდუქციის ასორტიმენტს და სიახლეებს სთავაზობს მომხმარებელს. ბოლო სამი წლის განმავლობაში „იბერია რეფრეშმენტსის“ ასორტიმენტს დაემატა „აქუაფინა“ ლიმნის და მანდარინის არომატით, მწვანე ვაშლის „მირინდა“, „მაუნთინ დიუ“.

### იუ ჯი თი

**www.ugt.ge**

14 წლიანი გამოცდილებით და 200-მდე თანამშრომლით, „იუ ჯი თი“ წარმოადგენს რეგიონის ლიდერ სისტემურ ინტეგრატორს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სივრცეში. „იუ ჯი თი“-ს მისიაა, დაეხმაროს კლიენტებს დასახული მიზნების მიღწევაში, თანამედროვე ტექნოლოგიებზე, პროდუქტებზე და სერვისებზე აგებული, საინფორმაციო და საკომუნიკაციო გადაწყვეტილებების მიწოდების გზით. „იუ ჯი თი“ დიდ კორპორაციებსა და სამთავრობო ორგანოებს სთავაზობს ინტეგრირებულ გადაწყვეტილებებს. დღეისათვის „იუ ჯი თი“-ს კლიენტების სიაში 300 მოწინავე კომპანიაა. დაარსებიდან დღემდე „იუ ჯი თი“-მ მოახერხა გამხდარიყო 25-ზე მეტი მსოფლიოს უმსხვილესი IT კომპანიის ბიზნესპარტნიორი და მომწოდებელი. „იუ ჯი თი“ ასევე წარმოადგენს პირველ სისტემურ ინტეგრატორ კომპანიას კავკასიის რეგიონში, რომელიც ISO 9001-2000 სერთიფიკატის მფლობელია.

## კავკასუს ონლაინი

www.co.ge

„კავკასუს ონლაინი“ წამყვანი სატელეკომუნიკაციო კომპანიაა საქართველოში. დღესდღეობით კომპანიას ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს ინტერნეტის საბითუმო მიწოდების მიმართულებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთაც. „კავკასუს ონლიანის“ საკუთრებაშია შავი ზღვის ფსკერზე არსებული კაბელი, რომელიც საშუალებას გვაძლევს მომხმარებლებს მივაწოდოთ მაღალხარისხიანი სერვისი, უმოკლესი მარშრუტით მსხვილ საერთაშორისო ოპერატორებთან. „კავკასუს ონლაინი“ მომხმარებელს სთავაზობს ასევე კოლოკაციის, 1007-ის და დომენების სერვისებს. „კავკასუს ონლაინის“ პროფესიონალთა გუნდი ყოველდღიურად ზრუნავს, მომხმარებლისათვის შექმნას ყველა პირობა მომსახურების მაღალი ხარისხით უზრუნველსაყოფად. კომპანიის ტექნიკური და ადამიანური რესურსები ორიენტირებულია საუკეთესო ხარისხის სერვისი შესთავაზონ მომხმარებელს და მუდმივად ზრუნავენ ბაზარზე დანერგონ ინოვაციური პროდუქტები, რომელიც მიმზდიველი და სასრეგბლო იქნება ჩვენი მომხამრებლებისათვის.

## KPMG

www.kpmg.com

KPMG არის დიდი ოთხეულის წევრი კომპანია, იგი წარმოადგენს პროფესიული ფირმების საერთაშორისო ქსელს, რომლებიც ეწევიან აუდიტორულ, საგადასახადო და საკონსულტაციო მომსახურებას, ჩვენს წევრ ფირმებში დასაქმებულია 174,000 ადამიანზე მეტი მსოფლიოს 155 ქვეყანაში. KPMG-ის მიზანია თავისი კლიენტების, თანამშრომლებისა და მსოფლიოს ფინანსური ბაზრის საკეთილდღეოდ, პროფესიული ცოდნა აქციოს რეალურ ეკონომიკურ სარგებლად.

## ლიბერთი ბანკი

www.libertybank.ge

„ლიბერთი ბანკი“ სამართალმემკვიდრეა 1994 წელს პრივატიზებული „აგრომრეწვბანკისა“, რომელსაც 2002 წელს სახელი გადაერქვა და „სახალხო ბანკის“ სახელით გახდა ცნობილი. 2010 წლის მარტში ბანკს „ლიბერთი ბანკი“ დაერქვა. „ლიბერთი ბანკს“ საქართველოში ფილიალების ყველაზე დიდი ქსელი აქვს და 1.4 მილიონზე მეტ ფიზიკურ და 72,000-ზე მეტ იურიდიულ პირს უწევს მომსახურებას. ბანკი სიდიდით მესამეა საქართველოში აქტივების ჯამური მოცულობით და 8.2%-იანი წილით. 2009 წლის სექტემბერში „ლიბერთი ჰოლდინგ ჯორჯიამ“ და „ლიბერთი კაპიტალმა“ ბანკის აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინეს.

## ლილო მოლი

www.lilomall.ge

კომპანია „ლილო მოლი“ უკვე 25 წელია, რაც ქართულ ბაზარზე წამყვან პოზიციებს იკავებს. სავაჭრო ცენტრის სტრატეგიული ადგილმდებარეობა, წარმოდგენილი პროდუქციის მრავალფეროვანი არჩევანი, როგორც საბითუმო, ისე საცალო ვაჭრობის შესაძლებლობა წარმოადგენს იმ კონკურენტულ უპირატესობას, რაც წლების განმავლობაში კომერციული ცენტრის წარმატებას განაპირობებს. 35 ჰექტარზე განლაგებული სავაჭრო კომპლექსი 6000 -ზე მეტ მაღაზიას აერთიანებს. „ლილო მოლის“ ყოველწლიური ვიზიტორების რიცხვი 3 მილიონ ადამიანს აჭარბებს და ეს რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. „ლილო მოლი“ მუდმივად ზრუნავს განვითარებასა და სიახლეების დანერგვაზე.

მაგი სტილი

www.magistyle.ge

სამშენებლო დეველოპერული კომპანია „მაგი სტილი“ დაფუძნდა 1995 წელს და წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან კერძო სამშენებლო კომპანიას საქართველოში. კომპანიის სამშენებლო საქმიანობა მიმართულია მყარი და უსაფრთხო შენობა-ნაგებობების შექმნისაკენ, რაც მისი რეპუტაციის გარანტიაა. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა პროექტირება და დაგეგმარება, ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი, საბინაო და სამრეწველო მშენებლობა და მართვა, სამშენებლო დეველოპმენტი.

მგზავრები

www.mgzavrebi.ge

შპს „სასტუმროების ქსელი მგზავრები“ დაარსდა 2008 წელს, კომპანიის ბიზნესსაქმიანობას წარმოადგენს საქართველოს კურორტებზე სასტუმრო კომპლექსების მშენებლობა, სასტუმრო აპარტამენტების რეალიზაცია და სასტუმროთა მართვა. მიმდინარე ეტაპამდე კომპანიის მიერ აშენებულია 8 სასტუმრო კორპუსი ბაკურიანში, 3 კორპუსი გონიოში და ერთი ბათუმში, სულ 600-მდე სასტუმრო ტიპის აპარტამენტი. ამჟამად მიმდინარეობს ახალი სასტუმროების მშენებლობა გუდაურში (160 ოთახი), ბაკურიანში (70 ოთახი) და გონიოში (50 ოთახი). კომპანიის მიერ მოზიდული და განხორციელებული ინვესტიცია მიმდინარე პერიოდამდე დაახლოებით 50 მილიონ ლარს შეადგენს. კომპანიის წლიური ბრუნვა დაახლოებით 10 მილიონი ლარია, ხოლო კომპანიის აქტივი 20 მილიონ ლარს უტოლდება.
კომპანია ასევე ფლობს შვილობილ საწარმოებს (სოფელ გლდანულაში და ქუთაისში). წარმოების ძირითადი მიმართულებას მოწნული ავეჯის და ხის ავეჯის წარმოება შეადგენს.

მობიტელი

www.beeline.ge

კავშირგაბმულობის ქართული ოპერატორი, შპს „მობიტელი“, კომპანიათა ჯგუფ „ვიმპელკომში“ შედის. შპს „მობიტელი“ ფიჭური კავშირის მომსახურებებს GSM-900/1800 სტანდარტებით აწვდის. 2007 წლიდან კომპანია აქტიურად აფართოებს დაფარვის ზონას, რამაც შესაძლებელი გახადა მეოთხე თაობის მომსახურებების დანერგვისათვის მზად მყოფი, ხარისხიანი თანამედროვე ქსელის შექმნა. „ბილაინი“ თავის აბონენტებს არა მარტო ხელსაყრელ და მოსახერხებელ პროდუქტებსა და მომსახურებებს, არამედ ყველაზე ინოვაციურ ტექნოლოგიებსაც სთავაზობს. 2011 წლის ნოემბერში „ბილაინმა“ საქართველოში პირველად მოახდინა მეოთხე თაობის კავშირის LTE-ს შესაძლებლობების ტესტირება. „ვიმპელკომი“ ემსახურება მთელ მსოფლიოში, დაახლოებით 739 მილიონი ადამიანით დასახლებულ ტერიტორიაზე. 2014 წელს აბონენტების ჯამურმა რიცხვმა შეადგინა 220 მილიონი. „ვიმპელკომის“ აქციები ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე (NYSE) VIP სიმბოლოთი იყიდება.

## ნიკორა

www.nikora.ge

„ნიკორა" ქართულ ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კვების პროდუქტების მწარმოებელი გახლავთ. კომპანიის ისტორია 1998 წელს იღებს სათავეს და ყველასთვის საყვარელი სოსისების – რძიანისა და ივერიას წარმოებას უკავშირდება. „ნიკორას" მუშაობის სტრატეგია – განვითარება / გაფართოებისკენ მუდმივი სწრაფვა, სიახლეების ათვისება / დანერგვის უნარი, უმთავრესი მიზეზია იმისა, რომ დღეს, ჰოლდინგი უკვე 500-მდე დასახელების პროდუქტს აწარმოებს და ხორცპროდუქტების პარალელურად, კვების ინდუსტრიის მრავალ მიმართულებას მოიცავს. „ნიკორას" ჰოლდინგში ნახევარფაბრიკატების, თევზეულის, რძის ნაწარმის, ნაყინის, პურ-ფუნთუშეულის, სალათების, გაყინული საკონდიტრო ნაწარმისა და ღვინის საწარმოებია გაერთიანებული. კომპანია იმპორტის მიმართულებითაც აქტიურად მუშაობს და ფერმერული მეურნეობების არარსებობის პირობებში, საკუთარი წარმოებისთვის საჭირო ნედლეული მსოფლიოს ავტორიტეტული ქარხნებიდან შემოაქვს. „ნიკორა" ქართულ ბაზარზე ყველაზე მრავალრიცხოვანი სავაჭრო ქსელით – 200-ზე მეტი სუპერმარკეტითაა წარმოდგენილი. „ნიკორას" ბრენდის ქვეშ არსებული სუპერმარკეტების გარდა, ჰოლდინგის მფლობელობაშია „ნუგეშის", „ლიბრესა" და „სანდეის" სავაჭრო ობიექტები. „ნიკორას" ჰოლდინგში ერთიანდება კომპანია „ინტრეიდი", რომელიც ქართულ ბაზარზე მსოფლიო მასშტაბის ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების ბრენდების იმპორტითაა დაკავებული. „ნიკორა" ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელიცაა... დღეს, ჰოლდინგში 4 ათასამდე ადამიანი მუშაობს, რომელთა რაოდენობა კომპანიის განვითარების პირდაპირპროპორციულად იზრდება. „ნიკორა" ერთ-ერთი პირველია ქართული კვების პროდუქტების მწარმოებელ კომპანიებს შორის, ვინც მრავალი წელია ფლობს ISO 9001 : 2008; ISO 22000 : 2005 – HACCP სერტიფიკატებს და როგორც წარმოებაში, ასევე მენეჯმენტში ზედმიწევნით იცავს ხარისხის მართვის და სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტებს. მომხმარებლის ნდობასა და ლოიალობას „ნიკორას" მიმართ კომპანიის 16 წლიანი გამოცდილება, სტაბილურად მაღალი ხარისხის პროდუქცია, მრავალფეროვანი ასორტიმენტი, ფასისა და ფასეულობის თანხვედრა და საზოგადოებასთან მუდმივი დიალოგის რეჟიმი განსაზღვრავს.

## ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები

www.nplaw.ge

„ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები" 2005 წელს შეიქმნა და დროის მოკლე პერიოდში კომპანიამ მოწინავე ადგილი დაიმკვიდრა მნიშვნელოვანი ინდუსტრიული და კომერციული სექტორების იურიდიული მომსახურების სფეროში. კომპანიის პრაქტიკა დაფუძნებულია ადგილობრივი და საერთაშორისო ბიზნესის მცოდნე პროფესიონალებზე, რომლებმაც კარგად იციან სამართლის დარგების და ბიზნესის თავისებურებები, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო პერსპექტივაში. კომპანიის მიზანს წარმოადგენს კომპანიის ეტაპობრივი ზრდა, მომსახურების სფეროს გაფართოება და კლიენტების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

## ორიფლეიმი

www.ge.oriflame.com

კომპანია „ორიფლეიმი“ შეიქმნა 1967 წ-ს ძმები აფ იოკნიკების და მათი მეგობრის მიერ. დღესდღეობით იგი წარმოადგენს საერთაშორისო კოსმეტიკურ კონცერნს, რომელსაც 60-ზე მეტ ქვეყანაში აქვს საკუთარი წარმომადგენლობა. 2000 წლის 20 ნოემბერს, კომპანიის წარმომადგენლობა ესტუმრა საქართველოს და ოფიციალურად გახსნა „ორიფლეიმ საქართველო“, მაშასადამე კიდევ ერთი ქვეყანა შემატა მისი წარმომადგენელი ქვეყნების დიდ ჯაჭვს. კომპანიის გაყიდვების ყოველწლიური მოცულობა 1.5 მილიარდი ევროა, მთელს მსოფლიოში „ორიფლეიმის“ 3.6 მილიონი კონსულტანტი და 8000 თანამშრომელია, პროდუქციის ასორტიმენტში კი 1000 ერთეულია. „ორიფლეიმი“ – ბავშვთა საერთაშორისო ფონდის თანადამფუძნებელია შვედეთის დედოფალ სილვიასთან ერთად; კომპანია ფლობს 5 საკუთარ ფაბრიკას შვედეთში, პოლონეთში, ჩინეთში, რუსეთსა და ინდოეთში; ორიფლეიმის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში 100-მდე მეცნიერი და ექსპერტი მუშაობს; კომპანიის აქციებს ფლობს Nasdaq OMX-ის საფონდო ბირჟაზე 2004 წლის მარტიდან, ორიფლეიმის წარმომადგენლობა არის 60-ზე მეტ ქვეყანაში, 11 მათგანში – ფრანჩაიზინგით.

## პე ეს პე ჯგუფი

www.psp.ge

„პე ეს პე“ 20 წელზე მეტია, ფუნქციონირებს საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე. „პე ეს პე“-ში პრიორიტეტული მიმართულებებია მედიკამენტების წარმოება ფარმაცევტული საწარმო GMP-ის ბაზაზე, ლიდერობა ადგილობრივ ბაზარზე და ექსპორტი, დისტრიბუციის, სააფთიაქო ქსელის, საავადმყოფოების ქსელის და სადაზღვევო სექტორის განვითარება. „პე ეს პე“ ერთადერთი ფარმაცევტული კომპანიაა საქართველოში, რომელსაც აქვს საერთაშორისო სტანდარტის, თანამედროვე, ინოვაციური ფარმაცევტული საწარმო კავკასიაში – GMP (www.gmp.ge) „პე ეს პე“-ს ფარმაცევტულმა საწარმომ მოიპოვა ევროგაერთიანების, „ჯი ემ პი“-ს სათანადო წარმოების პრაქტიკის GMP (Good Manufacturing Practice) სერთიფიკატი, ე.წ. GMP EU სერთიფიკატი რომელიც წარმოადგენს ევროკავშირში არსებული ფარმაცევტული წარმოების ლიცენზიას – გარანტირებული ხარისხის მედიკამენტების წარმოების დოკუმენტს. „პე ეს პე“-ს აქვს საკუთარი სააფთიაქო ქსელი, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს გარანტირებული ხარისხის მედიკამენტებს დაბალ ფასებში, კვალიფიციური ფარმაცევტების მომსახურებას და ამ დროისთვის აერთიანებს 160-ზე მეტ აფთიაქს, მთელი საქართველოს მასშტაბით. გერმანულმა სასერტიფიკაციო ორგანიზაციამ „TUV-Reinland/Berlin-Brndeburg Group“-მა „პე ეს პე“-ს სააფთიაქო ქსელს მიანიჭა ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაციის (International Organization for Standardization) სერთიფიკატი ISO 9001:2000.

## პეტროკას ენერჯი ჯგუფი

www.petrocasenergy.com

Petrocas Energy Group-ი წარმოადგენს მულტიფუნქციურ ჰოლდინგს, რომელიც დაკავებულია ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებით კასპიის რეგიონში, შუა აზიასა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ჯგუფი ახორციელებს თრეიდინგს, ფორვარდინგსა და ნავთობპროდუქტებისა და ქიმიური პროდუქტების შენახვას ფოთის ტერმინალში, რომელთა ტრანსპორტირება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და პირიქით ხდება. ჯგუფი ასევე ფლობს საქართველოში ბენზინგასამართი სადგურების ყველაზე დიდ ქსელს, რომელიც მსოფლიოში ცნობილი ბრენდის – „გალფის“ სახელით ოპერირებს.

### პროკრედიტ ბანკი

**www.procreditbank.ge**

პროკრედიტ ბანკი, როგორც პროკრედიტ ჯგუფის ნაწილი, 17 წელზე მეტია პასუხისმგებლობით ეკიდება საბანკო საქმიანობას. გერმანული გამოცდილებისა და თანამედროვე ევროპული სტანდარტების გაზიარებით, ბანკი მომხმარებელს განსხვავებულ საბანკო მომსახურებას სთავაზობს. ბანკის საქმიანობის ძირითადი მიზანი იმ მცირე და საშუალო ბიზნესების დაფინანსებაა, რომლებსაც განვითარების გრძელვადიანი გეგმა აქვთ. საბანკო მომსახურების გამარტივების მიზნით ბანკმა დანერგა და უახლესი აპარატებით აღჭურვა სივრცე 24/7, სადაც მომხმარებლები დამოუკიდებლად ასრულებენ საბანკო ოპერაციებს, დღე-ღამის ნებისმიერ დროს. ისინი ასევე სარგებლობენ პროკრედიტის საერთაშორისო ჯგუფის წევრობით და თანხის გადარიცხვებს დაბალი ტარიფებით ახორციელებენ, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. განსხვავებული ხედვა საბანკო მომსახურების სფეროში ბანკს საშუალებას აძლევს იყოს ინოვატორი. პროკრედიტ ბანკი განვითარებაზე ორიენტირებული ბანკია, რომლის სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს გარემოზე ზრუნვა წარმოადგენს. ამისათვის ბანკში დანერგილია გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა, სხვადასხვა ეკო პროდუქტი და შედეგად, ვართ პირველი ბანკი საქართველოში, რომელმაც ISO სერტიფიკატი მოიპოვა. საქართველოში ერთადერთი ბანკი ევროპული გამოცდილებითა და პროფესიონალიზმით განაგრძობს მომხმარებლებისთვის ინოვაციური, თანამედროვე, სწრაფი და მოსახერხებელი სერვისების შეთავაზებას და მათთვის მუდამ საიმედო ბიზნეს პარტნიორად რჩება.

### რაკია

**www.rak-ia.com**

რას ალ ხაიმას საემიროს საინვესტიციო ჯგუფი საქართველოში ოფიციალურად დაფუძნდა 2007 წლის 30 ნოემბერს. როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორი, იგი წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელოვან სექტორში. ჯგუფის მიერ განხორციელებული საინვესტიციო პროექტებიდან და სხვებთან ერთად აღსანიშნავია „თბილისი მოლი". დღეისთვის ჯგუფის პრიორიტეტს წარმოადგენს ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონისა და არსებული სასტუმრო ბიზნესის განვითარება. ასევე, ისეთ ახალ ინდუსტრიებში ინვესტირება, როგორიცაა ენერგეტიკა, ლოგისტიკა და სხვა. რას ალ ხაიმას საემიროს საინვესტიციო ჯგუფმა, მათ მიერ უკვე განხორციელებულ და სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში დაასაქმა ათასობით ადამიანი. დღევანდელი მდგომარეობით ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ჯგუფში შემავალი შემდეგი კომპანიები: „რაკია საქართველო", „რაკიინ დეველოპმენტ საქართველო", „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი", „რაკ საქართველო – ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა".

### რედიქსი

**www.redix.ge**

უძრავი ქონების და ინვესტიციების მართვა

კომპანია „რედიქსი" 2007 წელს დაარსდა და მისი საქმიანობის ძირითადი სფერო უძრავი ქონების და ინვესტიციების მართვაა. მთელი საქართველოს მასშტაბით „რედიქსი" აერთიანებს 35 მსხვილ და საშუალო ზომის, სხვადასხვა ტიპის პროექტს. ჯგუფში დასაქმებულია 300-ზე მეტი ადამიანი. კომპანიის მართვაში არსებული ქონების საბაზრო ღირებულება 150 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. 2013 წლის მონაცემებით, „რედიქს" ჯგუფმა გადასახადების სახით საქართველოს ბიუჯეტში 3 მილიონ ლარამდე გადაიხადა.

## RSM საქართველო

**www.rsm.global**

„RSM საქართველო" არის RSM-ის გლობალური ქსელის დამოუკიდებელი წევრი. RSM-ი წარმოადგენს რიგით მეექვსე გლობალურ დამოუკიდებელ აუდიტორულ, საგადასახადო და საკონსულტაციო ფირმების ქსელურ კომპანიას მსოფლიოს 120 ქვეყანაში, 760 ოფისით და 38 000-ზე მეტი პროფესიონალით.
„RSM საქართველო" სთავაზობს კონსულტაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა აუდიტი, გადასახადები, რისკების მართვა, საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგება (IFRS), რესტრუქტურიზაცია, ტრანზაქციები, სხვადასხვა ფინანსური და ბიზნეს გადაწყვეტილებები, იურიდული მომსახურება, კერძო ქონების მართვა და შეფასება. 2016 წლის დასაწყისში „RSM საქართველო"-მ განავითარა ახალი მიმართულება „RSM საქართველო სოლუშენსი"-ს სახით, რომელიც SAP-ის სერტიფიცირებული პარტნიორია საქართველოში. პარტნიორობის საფუძველზე „RSM საქართველო სოლუშენს"-ს საშუალება აქვს განახორციელოს SAP-ის პროდუქტების, მათ შორის SAP Business One-ის, ლიცენზიების მიწოდება, პროგრამული გადაწყვეტილებების დანერგვა და მათი ინტეგრაცია კლიენტი კომპანიებისთვის. RSM-ის კლიენტთა ბაზა მოიცავს როგორც ზრდაზე ორიენტირებულ სამეწარმეო ბიზნეს კომპანიებს, ისე სხვადასხვა ბიზნეს სექტორში მოღვაწე წამყვან მულტინაციონალურ ორგანიზაციებს და ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებიც ფუნქციონირებენ ადგილობრივ და გლობალურ ბაზარზე. „RSM საქართველო"-ს სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, ხოლო ფილიალები აქვს: ქუთაისში, ოზურგეთსა და ბათუმში. 2012 წლიდან RSM-ი არის „ევროპული ბიზნეს დაჯილდოვების" გენერალური სპონსორი, რომელიც ავლენს ყველაზე ინოვატორულ და წარმატებულ ევროპულ ბიზნესებს მთელი ევროპის მასშტაბით.

## სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები

**www.sante.ge**

შპს „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები" რძის პროდუქტებისა და წვენების უმსხვილესი მწარმოებელი და დისტრიბუტორი კომპანიაა საქართველოში 1997 წლიდან. აშშ-ს სამთავრობო სააგენტო „ოპიკის" მხარდაჭერით, განხორციელდა ძველი საბჭოთა ქარხნის გადაიარაღება თანამედროვე რძის მწარმოებელ საწარმოდ, რომელიც ოპერირებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. გასული 15 წლის მანძილზე „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტებმა" შეძლო ჩაენაცვლებინა წლების მანძილზე კუსტარულად წარმოებულ რძის პროდუქტებზე არსებული მოთხოვნა და შეექმნა სრულიად ახალი ბაზარი ქარხნულად წარმოებული რძის პროდუქტებისთვის. ამჟამად, „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები" მომხმარებელს 5 ბრენდსა და 120-მდე დასახელების პროდუქტს სთავაზობს. დღეისათვის, „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები" ბაზრის ლიდერია რძის მიღებასა და გადამუშავებაში. „ოპიკის" დახმარებით „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტებმა" ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განავითარა რეგიონებში ნატურალური რძის შეგროვების ინფრასტრუქტურა, რომელიც კომპანიას აძლევს საშუალებას მცირე საოჯახო მეურნეობებისგან ყოველდღიურად ჩაიბაროს და აწარმოოს ქართული ნატურალური რძისგან დამზადებული მაღალხარისხიანი პროდუქტი. 2015 წელს „ოპიკმა"დააჯილდოვა „სანტე ჯი-ემ- თი პროდუქტები" ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის საქმეში მის მიერ შეტანილი წვლილისთვის.

## საქართველოს ბანკი

**www.bog.ge**

„საქართველოს ბანკი" საქართველოში წამყვანი ბანკია ერთ-მესამედზე მეტი მოცულობის ბაზრის წილით მთლიანი აქტივების,მთლიანი სესხებისა და კლიენტთა დეპოზიტების მიხედვით და ემსახურება 2.0 მილიონ მომხმარებელთა ანგარიშს. ბანკი მომხმარებლებს საცალო საბანკო, კორპორატიულ საბანკო, დაგროვილი ქონების მართვის, ინვესტიციების მართვის, ასევე ქონებისა და სიცოცხლის დაზღვევის მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს. ბანკს საქართველოში 270-ზე მეტი სერვისცენტრი აქვს, მათ შორისაა Express Bank-ის სერვისცენტრები. ქვეყანაში ბანკომატების უდიდესი ქსელი მოიცავს 800-მდე აპარატს, ასევე 2,681 თვითმომსახურების ტერმინალს. ბანკს ასევე აქვს დისტანციური საბანკო მომსახურების სრული სერვისი და თანამედროვე ქოლ-ცენტრი. საქართველოს ბანკის აქციები ლონდონის საფონდო ბირჟის ძირითად ბაზარზე ივაჭრება. საქართველოს ბანკს მინიჭებული აქვს რეიტინგი სამივე გლობალური სარეიტინგო სააგენტოსგან: Standard & Poor's: 'BB-/B', Moody's: 'B1/NP' (FC) & 'Ba3/NP' (LC), Fitch Ratings: 'BB-/B'.

## საქართველოს ვაგონმშენებელთა ჰოლდინგი

**www.elwagon.ge/rustavi**

„საქართველოს ვაგონმშენებელთა ჰოლდინგი“ შეიქმნა 2009 წელს, მასში გაერთიანებულია 3 ძირითადი კომპანია: „ვაგონმშენებელი კომპანია“ (დაარსებული 2005 წელს), „ელექტროვაგონმშენებელი ქარხანა“ (1883 წელს), „რუსთავის მეტალურგიული კომბინატი“ (1964 წელს). ჰოლდინგის ძირითადი მიმართულება არის რკინიგზის ტრანსპორტის მშენებლობა და რემონტი. „ელექტროვაგონ-შემკეთებელ ქარხანაში“ ხდება სამგზავრო მატარებლების, ლოკომოტივების, თბომავლების რემონტი და მოდერნიზაცია. 2010 წელს ჩინელებთან ერთად მოხდა ახალი ჩქაროსნული ელექტრო-მატარებლის მშენებლობა, რომელიც წარმატებით მოძრაობს თბილისი – ბათუმის მიმართულებით. ჰოლდინგის მთავარი მამოძრავებელი ძალაა „ვაგონმშენებელი კომპანია“, სადაც ხდება ყველა სახის სატვირთო ვაგონების მშენებლობა და რემონტი. კომპანია ფლობს სპეციალურ ლიცენზიებს, რაც აძლევს საშუალებას, რომ ნაწარმოები ვაგონები გადაადგილდეს პოსტ-საბჭოთა სივრცეში. კომპანია ასევე ახდენს ვაგონისა და ელმავლის ურიკების და ბორბლების ფორმირებას და რემონტს. ჰოლდინგის შემადგენლობაში არსებული მესამე საწარმო ორიენტირებულია ვაგონის შემადგენელი დეტალების ჩამოსხმაზე. ის აწარმოებს 27 სახეობის მცირე და საშუალო ზომის ვაგონის დეტალს, 2015 წელს კი კომპანიამ მიიღო ლიცენზია ვაგონის ყველაზე მძიმე და ფასტევადი დეტალების – გვერდით ჩარჩოს და რესორზედა ძელის ჩამოსხმაზე. აღნიშნული აძლევს ჰოლდინგს საშუალებას ვაგონის წარმოების უდიდესი ნაწილი ლოკალიზებული იყოს საქართველოში – თუ ადრე ყველა დეტალი შემოდიოდა უკრაინიდან და რუსეთიდან ახლა ვაგონის წარმოება 100 %-ით საქართველოში ხდება. საქართველოს ვაგონმშენებელთა ჰოლდინგი ემსახურება საქართველოს, რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის და ბალტიისპირეთის ქვეყნების რკინიგზებს. ნიშანდობლივია, რომ საქართველო პოსტ-საბჭოთა სივრცეში, რუსეთისა და უკრაინის შემდეგ, ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ვაგონმშენებლის სტატუსი მოიპოვა და კვლავ ლიდერია კავკასიაში რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის შეკეთებისა და მშენებლობის დარგში. დღეს „საქართველოს ვაგონმშენებელთა ჰოლდინგს“ პარტნიორული ურთიერთობა აქვს დამყარებული ჩინეთის, უკრაინის, ჩეხეთის და სხვა მონათესავე პროფილის საწარმოებთან.

## საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი

**www.gig.ge**

20 წლიანი გამოცდილების მქონე „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჰოლდინგია საქართველოში.მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერგიის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები), ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. 2006 წელს, ქართულ ბაზარზე 20 წლიანი ბიზნეს საქმიანობის გამოცდილების მქონე კომპანიამ, ჰოლდინგის სახე მიიღო. GIG საქართველოში ერთადერთი ნახშირის მწარმოებელი კომპანიაა და ამასთანავე ქვეყნისათვის ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ნახშირის ისეთ აქტივებს ფლობს, როგორებიცაა ტყიბული-შაორის და ვალეს საბადოები. ნახშირის მოპოვების ბიზნესში კომპანია წარმოდგენილია შ.პ.ს „საქნახშირის“ სახით.“ მოპოვებული ნახშირის დიდი წილი გრძელვადიანი კონტრაქტებით (1 წელი ან მეტი) ადგილობრივ მომხმარებლებზე იყიდება. გრძელვადიან პერსპექტივაში კომპანია გეგმავს გაზარდოს მოპოვების მოცულობა 1.5 მილონ ტონამდე წლიურად, რათა მოახერხოს მზარდი ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება და ასევე დაიწყოს ექსპორტირება.

## საქართველოს რკინიგზა

www.railway.ge

„საქართველოს რკინიგზა" ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც უმოკლესი გზით ევროპას ცენტრალურ აზიასთან აკავშირებს. შავი და კასპიის ზღვების დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა 1865 წელს დაიწყო. 1872 წლის 10 ოქტომბერს თბილისიდან ფოთში პირველი მატარებელი ჩავიდა. სწორედ ეს თარიღი ითვლება საქართველოს რკინიგზის „დაბადების დღედ". ამიერკავკასიაში რკინიგზის მშენებლობაში განსაკუთრებული წვლილი საქართველოს გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ შეიტანა. ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობის პროცესში საქართველოს რთულმა გეოგრაფიულმა რელიეფმა მრავალი ხელოვნური საინჟინრო ნაგებობის მშენებლობა განაპირობა, რომელთა რიცხვი 3700 აღემატება. „საქართველოს რკინიგზის" საერთო სიგრძე 2344,2 კილომეტრია. 2012 წლის 12 აპრილს შპს „საქართველოს რკინიგზა" გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად.

## საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი

www.ghg.com.ge

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი ბრიტანეთში რეგისტრირებული ჰოლდინგური კომპანიაა. კომპანია გამორჩეულია ჯანდაცვის სერვისების მრავაფეროვნებითა და საქართველოსთვის უნიკალური, კლასტერული ბიზნეს მოდელით, რომელიც იძლევა პაციენტების სწორი რეფერირების საშუალებას და უზრუნველყოფს სამედიცინო სერვისების მიწოდების უკეთეს ხარისხს. საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი, ევექსის ბრენდით მართავს 74 სამედიცინო დაწესებულებას, მათ შორის 35 ჰოსპიტალს და 8 ამბულატორიულ კლასტერს, სადაც 11 ამბულატორიული ცენტრი და 28 ექსპრეს ამბულატორიული კლინიკაა გაერთიანებული. „სამედიცინო კორპორაცია ევექსი" ფართო გეოგრაფიული დაფარვითა და დივერსიფიცირებული ჯანდაცვის მომსახურების ქსელით საქართველოს მოსახლეობის 2/3-ს ემსახურება და 2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით ქვეყნის საწოლფონდის 23%-ს იკავებს. სამედიცინო სერვისებთან ერთად, საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის სამოქმედო სფეროს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაზღვევა და ფარმაცევტული სექტორი. ჯგუფში შემავალი ფარმაცევტული კომპანია ჯიპისი სიდიდით მესამე კომპანიაა ქვეყანაში და ყოველთვიურად 1 მილიონზე მეტ მომხმარებელს ემსახურება. იმედი L ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჯანმრთელობის დაზღვევის კომპანიაა საქართველოში და 2016 წლის 30 სექტემბრის მონაცემით, 208,000 დაზღვეულით, არის ბაზრის 34,8%-ის მფლობელი.

## სილქნეტი

www.silknet.com

საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე „სილქნეტი" ახალი კომპანიაა, რომელიც დაარსდა 2010 წლის 12 მარტს. კომპანია მომხმარებელს აწვდის სრულ საკომუნიკაციო სერვისს ქვეყნის მასშტაბით (ტელეფონი, ინტერნეტი, ტელევიზია). კომპანიის მიზანი სატელეკომუნიკაციო სივრცეში ლიდერის პოზიციის დამკვიდრებაა, რის მიღწევასაც მომხმარებლის ინტერესებზე მაქსიმალური ორიენტირებით, ინოვაციური პროდუქტების შეთავაზებით, ახალი მომსახურების დანერგვით და ბაზრის წილისა და მომგებიანობის გაზრდით მიაღწევს. კომპანიის პრიორიტეტებია: მომხმარებელზე მაქსიმალური ორიენტაცია, მომსახურების მაღალი ხარისხი, ინოვაციური და მრავალფეროვანი პროდუქტების მუდმივი მიწოდება, კორპორატიული და სოციალური პასუხისმგებლობა.

## სილქროუდ ჯგუფი

www.silkroad.ge

ჰოლდინგი „სილქროუდი" დაარსებულია მასში შემავალი კომპანიების ინტერესების კონსოლიდირებისათვის. აღნიშნული ინტერესები მოიცავს ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტირების და სავაჭრო სფეროებს, საკვები პროდუქციის ბაზარს, უძრავ ქონებას, ფინანსურ მომსახურებას, ინვესტიციებს და კორპორატიულ სერვისებს.

### სოკარი

www.socar.ge

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ საქართველოს ნავთობის საცალო და საბითუმო ბაზარზე 2006 წელს შემოვიდა. მისი ძირითადი საქმიანობა ნავთობპროდუქტებისა და თხევადი გაზის იმპორტს, ნავთობტერმინალებისა და რეზერვუარების მშენებლობას მოიცავს. დაარსებისთანავე კომპანიამ საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში ლიდერის პოზიცია დაიკავა. საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე და ბუნებრივი გაზის სექტორში შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“-მ დააარსა ორი შვილობილი კომპანია: შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ და შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ 2006 წლის სექტემბრიდან ჩართულია საქართველოს ნავთობპროდუქტების სექტორში. კომპანიის ყოველთვიური ბრუნვა ათობით მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. იგი წარმატებით ახორციელებს მაღალი ხარისხის ნავთობპროდუქტების იმპორტსა და რეალიზაციას. 2008 წლიდან შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმმა“ დაიწყო საცალო ქსელის განვითარება. ამ დროისათვის საქართველოს მასშტაბით კომპანია ფლობს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ 113 ავტოგასამართ სადგურს, რომელიც მაღალი ხარისხის მომსახურებას სთავაზობს მომხმარებლებს. დღევანდელი მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულია 1500-ზე მეტი ადამიანი. ბუნებრივი გაზის ბაზრის სექტორზე ადგილის დამკვიდრების მიზნით, 2007 წლის ივნისში შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიამ“ დააარსა შვილობილი კომპანია, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“. შპს „სოკარ ჯორჯია გაზმა“ მოიგო ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაზგამანაწილებელი კომპანიების პრივატიზების შესახებ“. შესაბამისი ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ აიღო ვალდებულება, განეხორციელებინა საქართველოს 30 რეგიონის გაზიფიცირების ფართომასშტაბიანი პროექტი. დღეისათვის „სოკარ ჯორჯია გაზი“ ახორციელებს გაზის დისტრიბუციას საქართველოს 44 რაიონში და 386,000 აბონენტს უწევს მომსახურეობას. კომპანიაში დასაქმებულია 2000-მდე ადამიანი, მოიჯარეთ მომუშავე კომპანიებში კი რამოდენიმე ათასი ადამიანი.

### ტერაბანკი

www.terabank.ge

ტერაბანკი 17 წელია, რაც ქართულ საბანკო სექტორში მნიშვნელოვან პოზიციას იკავებს. ბანკი ბაზარზე სხვადასხვა სახელით გამოდიოდა (აგრობიზნეს ბანკი, სტანარტად ბანკი და კორ სტანდარტ ბანკი), თუმცა 2016 წლის 23 მაისიდან შეიცვალა მისი პოზიციონირება, ფილიალების კონცეფცია, საკომუნიკაციო სტრატეგია და ახალი სახელი – ტერაბანკი დაერქვა. ტერაბანკი ორიენტირებულია, იყოს მეწარმეების, მათთან დასაქმებული ადამიანებისა და მათი მომხმარებლების რჩეული ბანკი და სანდო პარტნიორი; გამორჩეული და ინდივიდუალური მომსახურებით ხელი შეუწყოს მათ ბიზნესისა და პირადი ფინანსური ამოცანების გადაჭრაში. ტერაბანკი ძალიან განსხვავდება ჩვენთვის აქამდე ნაცნობი საბანკო გარემოსგან. ეს არის ერთადერთი ბანკი საქართველოში, რომელიც სახლის მსგავსად მყუდრო და თბილ გარემოს სთავაზობს მომხმარებელს. აქ ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ სტუმრებმა უმაღლესი ხარისხის საბანკო მომსახურება სახლის მსგავს – კომფორტულ გარემოში მიიღონ. სწორედ ამიტომ ბანკის ძირითად საკომუნიკაციო მესიჯად – ჩემი ფინანსური სახლი შეირჩა. ტერაბანკი საქართველოს მასშტაბით 23 ფილიალითა და სერვისცენტრით ოპერირებს და ბიზნესს და საცალო მომხმარებლებს საბანკო მომსახურებებისა და პროდუქტების ფართო არჩევანს სთავაზობს.

### 4 ფინანსი

www.vivus.ge

vivus.ge ჯგუფი „4 ფინანსი“-ს (4 Finance) გლობალური ბრენდია. კომპანია წამყვან პოზიციაზე იმყოფება ლატვიაში, ლიტვაში, პოლონეთში, ფინეთში, დანიაში და შვედეთში. კომპანიამ 2012 წელს წარმატებით დაიწყო ფუნქციონირება რუსეთში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთსა და კანადაში. ხოლო 2013 წელს სერვისი ხელმისაწვდომი გახდა ჩეხეთისა და საქართველოს მოქალაქეებისათვის. 4 Finance ლატვიური სააქციო საზოგადოებაა, რომელიც დაარსდა 2008 წელს და ძალიან სწრაფად მიაღწია დიდ წარმატებას მსოფლიო მასშტაბით. კომპანიის ბიზნეს სფეროა სწრაფი, მოკლევადიანი არასაბანკო სესხები.

### ფუდმარტი

www.foodmart.ge

საცალო სავაჭრო ქსელი „ფუდმარტი“ დაარსდა 2013 წელს. დღეისთვის ბაზარზე ქსელი წარმოდგენილია 3 ბრენდით – „ფუდმარტი“, „იოლი გასტრონომია“ და „სპარი“. სავაჭრო ობიექტების რაოდენობა ჯამში 58 ერთეულია და სამივე ბრენდი საქართველოს მსხვილ რეგიონალურ ცენტრებში ოპერირებს – თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში. 2014 წლის ივნისში „ფუდმარტმა“ ხელი მოაწერა ლიცენზირების ხელშეკრულებას „სპარ ინთერნეიშენალთან“ საქართველოს მასშტაბით არსებული „ფუდმარტისა“ და „იოლის“ ყველა მაღაზიის რებრენდინგზე. 2016 წელს ქართული საცალო ვაჭრობის ბაზარზე კომპანიის მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში ზუგდიდში სპარის პირველი რეგიონული ქვეფრენჩაიზი გაიხსნა. „სპარ ინთერნეიშენალი“ მსოფლიოს უმსხვილესი სუპერმარკეტების ქსელია 12,000-ზე მეტი მაღაზიით 42 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. მაღაზიების ფართო ქსელთან ერთად კომპანია „ფუდმარტი“ ფლობს ულტრათანამედროვე აღჭურვილობის მქონე საწარმოს, რომელიც 24 საათიან რეჟიმში, მთელი ქვეყნის მასშტაბით ამარაგებს როგორც საკუთარ, ასევე პარტნიორ სავაჭრო ობიექტებს საკუთარი წარმოების მზა საკვები პროდუქტებით, საკონდიტრო ნაწარმითა და პურ-ფუნთუშეულით. ჯგუფში 1400-მდე ადამიანია დასაქმებული, რომელთა რიცხვიც ქსელის გაფართოებისა და კომპანიის განვითარების პარალელურად მუდმივად იზრდება.

### ქართული ლუდის კომპანია

www.geobeer.ge

„ქართული ლუდის კომპანია“ დაარსდა 2011 წელს. ლუდსახარში აღჭურვილია თანამედროვე ევროპული დანადგარებითა და ტექნოლოგიებით. 2012 წლის 4 აპრილს კომპანიამ ბაზარს წარუდგინა ლუდისა და ლიმონათის ახალი ქართული ბრენდი „ზედაზენი“, რომელმაც პირველივე წელს მოიპოვა ლიდერის პოზიცია. გახსნიდან ერთ თვეში ზედაზენმა მიიღო ხარისხის მართვის სერტიფიკატი ISO 9000, რომელსაც მოჰყვა სურსათის უვნებლობის მართვის სერტიფიკატის ISO 22000-ის მიღება. გარდა ამისა, კომპანია მონაწილეობდა გამოფენებში, მიაღწია საერთაშორისო აღიარებას და მოიპოვა წლის საუკეთესო პროდუქტის სტატუსი. ამ მიღწევებმა განაპირობა საექსპორტო ბაზრის მნიშვნელოვანი გაფართოება. 2012 წლის ბოლოს სააქციო საზოგადოება გახდა უმსხვილესი გერმანული ჯგუფის „Bitburger Braugruppe“-ს პარტნიორი და მოიპოვა ლიცენზია, ეწარმოებინა პრემიუმ კლასის ბრენდი „Konig Pilsner“. 2013 წელს კომპანიამ ბაზარზე წარადგინა მთის ტრადიციული ტექნოლოგიით დამზადებული ლუდი „ხევსურული“, პირველი ქართული ენერგეტიკული სასმელი „Wilder“ და დიეტური ლიმონათის სხვადასხვა სახეობა. დღეისათვის კომპანია საქართველოს ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ბაზრის მესამედის მფლობელია.

### შარმ ტრეიდინგი

www.sharm.ge

კომპანია „შარმ ტრეიდინგი“ წამყვანი სადისტრიბუციო კომპანიაა საქართველოში, რომელიც დაარსების დღიდან ინარჩუნებს მოწინავე პოზიციებს. კომპანია დაარსდა 1998 წელს. მცირე რესურსების მიუხედავად ახალგაზრდა და მონდომებულმა გუნდმა საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია. პარტნიორთა უდიდესი ნდობისა და წარმატებული საქმიანობის შედეგად, „შარმ ტრეიდინგი“ გახდა მსოფილიოს წამყვანი ბრენდების ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოსა და სომხეთში. დღეს კომპანია დისტრიბუციას უწევს ისეთ პოპულარულ ბრენდებს, როგორებიცაა: Unilever, Henkel, Schwarzkopf&Henkel, Eczacibasi, Tchibo და სხვა. ამიერკავკასიის ბაზარზე კომპანიამ თავისი მოღვაწეობის პერიოდში არაერთხელ დაამტკიცა პროფესიონალურად მუშაობის უნარი და სტაბილურობის შენარჩუნების შესაძლებლობა, რამაც უზრუნველყო პარტნიორებთან გრძელვადიანი და მჭიდრო ურთიერთობა. „შარმ ტრეიდინგ“-ში მთელი საქართველოს მასშტაბით დასაქმებულია 600-მდე თანამშრომელი, ხოლო კავკასიის მასშტაბით – 1000; კომპანიის მიზანია, სამომხმარებლო ქსელის მსოფლიოს ბრენდების პროდუქციით მომარაგება, კვალიფიციური დისტრიბუცია, როგორც სავაჭრო ისე არა სავაჭრო ობიექტებთან და სალონებთან მთელი ქვეყნის მასშტაბით.

### ცოდნის ფონდი

„ცოდნის ფონდი“ არის არასამეწარმეო არაკომერციული საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 2007 წელს კახა ბენდუქიძის მიერ. „ცოდნის ფონდი“ საქართველოში ყველაზე დიდი საგანმანათლებლო საქველმოქმედო ფონდია. „ცოდნის ფონდი“ არის საქართველოს ორი წამყვანი უნივერსიტეტის, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დამფუძნებელი. ფონდის მიზანია უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარება საქართველოში. ამ მიზნით ფონდი ახორციელებს ინვესტიციას საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაში, კვლევასა და განათლებაში. გარდა ამისა, ფონდი ხელს უწყობს ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას სასწავლო სტიპენდიების გზით. 2007 წლის შემდეგ „ცოდნის ფონდმა“ უმაღლესი განათლების სფეროში 50 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია ჩადო, რაც საქართველოში უმაღლესი განათლების სფეროში განხორციელებული უპრეცედენტო მოცულობის კერძო ინვესტიციაა.

### ჯეოსთილი

www.geosteel.com.ge

„ჯეოსთილი“ ინდუსტრიის სფეროში ერთ-ერთი უდიდესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციაა საქართველოში. იგი JSW Steel Netherlants BV და Georgian Steel Group Holding-ის ერთობლივ საწარმოს წარმოადგენს. „ჯეოსთილი“ ISO 9001:2008 სერტიფიცირებული კომპანიაა, იგი მიმართულია მომხმარებლის კმაყოფილების უზრუნველყოფაზე და მიისწრაფვის ხარისხის მაღალი სტანდარტების მიღწევისკენ. საწარმოს ტერიტორია მოიცავს 13 ჰა-ზე მეტ ფართობს. იგი ქალაქ რუსთავის ცენტრში მდებარეობს. კომპანია თავის მომხმარებელს ემსახურება სამუშაო ძალით, რომლის შემადგენლობაში 110 პროფესიონალი და 375 დამხმარე თანამშრომლი შედის. შპს „ჯეოსთილი“-ს წარმადობა წელიწადში 200,000 ტონა თხევად ფოლადს შეადგენს.

### ჯეოსტარი

„ჯეოსტარი“ დაფუძნდა 2004 წელს ქართული კაპიტალით. კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა სამომხმარებლო პროდუქტების იმპორტი და დისტრიბუცია. სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, სადაც კომპანიას გააჩნია საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კომპანია ოპერირებს მთელი საქართველოს მასშტაბით და მასში დასაქმებულია 200-მდე ადამიანი. „ჯეოსტარი“ ისეთი ბრენდების ექსკლუზიური დისტრიბუტორია საქართველოში, როგორებიცაა: Nivea, Aquafresh, BIC, Papia, Molped, Molfix, Bingo, Bonduelle, PastaZara, Avedov, Pompea, Sisi, Glamur და სხვა.

### ჯი ეი ეი მენეჯმენტი

www.gaalloys.com

„ჯი ეი ეი მენეჯმენტი“ და „ჯორჯიან მანგანეზი“ მოიცავს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნას, ჭიათურის სამთო გამამდიდრებელ კომბინატს და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურს. იგი უდიდესი ექსპორტიორი კომპანიაა საქართველოში, რომელსაც ყავს 6500-მდე თანამშრომელი.

### ჯი პი აი ჰოლდინგი

**www.mygpi.ge**

„ჯი პი აი ჰოლდინგი“ დაარსდა 2001 წელს, როგორც პირველი კერძო საპენსიო ფონდი საქართველოში. კომპანიისთვის თავიდანვე პრიორიტეტად იქცა საქართველოში ე.წ. სოციალური დაზღვევის: ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საპენსიო დაზღვევის პოპულარიზება და განვითარება. ამ მიმართულებას „ჯი პი აი ჰოლდინგი“ დღესაც აქტიურად ავითარებს. 2006 წლიდან „ჯი პი აი ჰოლდინგი“ ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანიის „ვენის სადაზღვევო ჯგუფის“ წევრი გახდა. საქართველოში პირველად მსგავსი დონისა და რეიტინგის უცხოური კომპანია ადგილობრივი კომპანიის აქციონერი გახდა. „ჯიპიაი ჰოლდინგის“ შვილობილი კომპანია „ჯეოჰოსპიტალსი“ ფლობს და მართავს 17 საავადმყოფოს საქართველოს 16 რეგიონში. 2015 წლის მონაცემებით „ჯი პი აი ჰოლდინგი“ სადაზღვევო ბაზრის ერთ-ერთი ლიდერია და მის 20.26%-ს ფლობს. კომპანიას 120 000-მდე დაზღვეული ჰყავს ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებით. 2016 წელს საქართველოში პირველად „ჯი პი აი ჰოლდინგმა“ საკუთარ მომხარებელს დაზღვევის ონლაინ სერვისები შესთავაზა, რომლის მიღება შესაძლებელია ონლაინ პორტალით www.mygpi.ge. აღსანიშნავია, რომ კომპანიამ უკვე ოთხჯერ შეძლო საუკეთესო კომპანიის სტატუსის მოპოვება და დაჯილდოვდა ოქროს ბრენდის ნომინაციაში, როგორც რჩეული სადაზღვევო კომპანია.

### ჯიპისი

**www.gpc.ge**

1996 წლიდან „ჯიპისი“ აქტიურად მონაწილეობს ცნობილი უცხოური კომპანიების საქართველოში დამკვიდრების საქმეში – კომპანიის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიმართულებაა დასავლეთის ქვეყნებში წარმოებული მაღალი ხარისხის მედიკამენტებისა და ფარმაცევტულ სფეროში მომსახურების ახალი ტექნოლოგიების დამკვიდრება საქართველოს ბაზარზე. „ჯიპისი“ ერთ-ერთი უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანიაა საქართველოში. კომპანია წარმატებით თანამშრომლობს ოცდაათზე მეტ წამყვან უცხოურ ფარმაცევტულ კომპანიასთან, როგორებიცაა: Pfizer, MSD, Aventis, Pasteur, Solvay, Befour-Ipsen, Ratiopharm, Pliva და სხვა. კომპანიის მიერ იმპორტირებული პროდუქცია მოიცავს ბავშვის მოვლის საგნებს, კოსმეტიკას, ჰიგიენური მოვლის საშუალებებს. 2013 წლისთვის ამ დროისათვის ქვეყნის მასშტაბით 100-მდე აფთიაქია და კომპანია ჯიპისში დასაქმებულია 1500 თანამშრომელზე მეტი.

დავების განმხილველი ცენტრი
DISPUTE RESOLUTION CENTER

ქართ. ინგ.

არბიტრაჟი | მედიაცია | საქმის ძიება




DRC - ის რაც გჭირდებათ!

საქართველო, თბილისი ვაჟა ფშაველას გამზ. 71, 1 სართული. ტელ: 2 207 327 www.drc-arbitration.ge

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

**www.bag.ge**

**www.facebook.com/BusinessAssociationofGeorgia**